ლიბერალი

№ 112 / 22 - 28 ოქტომბერი / 2012

ISSN 1987-7528

9 771987 752008

ფასი 2 ლარი

თამაზ ბუჩჩიანის უპირატესობა

გვ. 32

თუ გამოგრჩა რომელიმე სიუჟეტი ან გადაცემა, ეწვიე "მეცხრე არხის" Youtube-ს.

tv9.ge/youtube

YouTube

tv9

ეცადე დაინახო მეტი

აქ იხილავ ყველა საინფორმაციო გამოშვების და გადაცემის არქივს. კონკრეტული ვიდეო ფაილის მოსაძებნად გამოიყენე ძიების ველი, ან გადადი Playlist-ების გვერდზე, სადაც მასალა გადაცემების და თარიღების მიხედვით არის დალაგებული.

ლიბერალი

№ 112 / 22 - 28 ოქტომბერი / 2012

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ნინო ბექიშვილი

ჟურნალისტები:
ლიკა ზაკაშვილი, ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა მაღალდაძე, ლევან ახალაია, სალომე ცეცხლაძე

კონტრიბუცია:
გიგი გულედანი, ვასო კუჭუხიძე, პავლა ჰოლცოვა, ხადიჯა ისმაილოვა, იარომირ ჰასონი, სეიმურ ქაზიმოვი

რედაქცია:
ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი ნინო ბექიშვილი
კორექტორი თამარ ღონღაძე

გამომცემლობა:
დირექტორი
ქეთევან ბაბუნაშვილი

გაყიდვების და ბიზნესის განვითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი

გაყიდვების მენეჯერი:
სოფო პაპუნაშვილი

მარკეტინგის მენეჯერი:
ელენე ხარაზაშვილი

დისტრიბუტორი:
მიხეილ მამუჩიშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები
დაგვიკავშირდით: 247 10 05.

www.liberali.ge

რედაქტორისგან

ხანდახან მეჩვენება, რომ ძალიან ბევრს ვლაპარაკობ და საშინლად მბეზრდება ხოლმე „საკუთარი ნააზრევი“. საერთოდაც, ვირტუალურმა რეალობამ ლაპარაკის სრული პროფანაცია გამოიწვია, ყველა ვლაპარაკობთ, სულ, ბევრ ხმაში, სწრაფად, პარალელურად და ვკარგავთ სხვისი მოსმენის უნარს, არც გვრჩება ამის დრო და ადგილი. კითხვითაც უკვე კარგა ხანია ვერტიკალურად ვკითხულობ, და არა ჰორიზონტალურად, რაც იმას ნიშნავს, რომ ტექსტს მოვიხმარ და არ აღვიქვამ, ან აღვიქვამ ზედაპირულად. ზედაპირული აღქმა კი მტრის კარს, არ მიყვარს. ისედაც სულ ზედაპირზე ვტივტივებთ, მთელი ცხოვრება, ჩვენი ილუზიებითა და სწორხაზოვნებით და იმ სატყუარებით, რომელსაც საკუთარ თავს ვუყრით.

ამიტომ, თქვენის ნებართვით, ამჯერად გავჩუმდები და გაგიზიარებთ მოკლე მონაკვეთს მერაბ მამარდაშვილის „საუბრები ფილოსოფიიდან“:

„თუ გაგვაჩნია კერძო სამართალი, რომელიც აღიწერება სიტყვებით, „სინდისი“, „სიკეთე“, „პატიოსნება“, მაშინ ის შეიძლება იყოს მხოლოდ ჩემი მონაპოვარი, საკუთარ თავზე შრომით მიღწეული, ის ხორციელდება არჩევანის სფეროში, რომელიც ფართოვდება ჩემში თავისუფლების ცოდნის, ანუ გამოცდილების გაფართოებასთან ერთად. მაშასადამე, ამის გარედან დაწესება შეუძლებელია, მისი, როგორც ყოველგვარი კოდექსის შედეგი, ყოველთვის მექანიკური იქნება. როგორც კი მოინდომებ დააკოდექსო ის, რაც თავისი ბუნების მიხედვით არ შეიძლება დაკოდექსდეს, მაშინვე დაკანონდება არა საქმე თავისთავად, არამედ მისი ნიშნები. ადამიანი კი იქცევა მარიონეტად, რომელიც ნიშნის ნიშნებს შეასრულებს. მისი სიკეთის, პატიოსნების ნიშნები უკვე შექმნილი იქნება. როგორც, მაგალითად, ზოგს სურს შემოიღოს ქართველობის ნიშნები, რის შედეგადაც ჩემი ქართველობა და ჩემი, როგორც ქართველის მოვალეობა იმაზე დაიყვანება, რომ ამ ნიშნების შესრულების ნიშანი მივცე. ამის შემდეგ კი ის იქნება, რომ ისევ აღმოვჩნდებით აბსურდის სამყაროში, რომელშიც აქამდე ვცხოვრობდით... ამიტომ, fiat justitia, pereat mundis“ – აღსრულდეს სამართალი და დაიღუპოს ქვეყანა. ქვეყანა დაიღუპოს, ოღონდ კი სამართალი აღსრულდეს.“

ვისთვისაც ეს აზრი გაუგებარია, მიაკითხეთ მამარდაშვილს, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 138.

შორენა შავერდაშვილი

საყოველთაო გაფიცვა ჭიათურაში

15 ოქტომბერს ჭიათურაში „ჯორჯიან მარგანეზის“ ადმინისტრაციულ შენობასთან ასობით მუშა შეიკრიბა. ერთმანეთში ემოციურად საუბრობდნენ და საწარმოების ადმინისტრაციას თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებას სთხოვდნენ.

ჭიათურაში მაღაროს მუშების საყოველთაო გაფიცვა გრძელდება. მანგანუმის მომპოვებელი და გადამამუშავებელი შვიდივე მაღარო პარალიზებულია. მუშები ამბობენ, რომ მანგანუმის წარმოება არ აღდგება, სანამ საწარმოების ადმინისტრაცია მათ მოთხოვნებს სრულად არ შეასრულებს.

ანი ჭანკოტაძე
83.12

ბიოხბი მიქიაშვილი საქართველოს ნინაალმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საქართველომ კიდევ ერთი საქმე წააგო. 3 თვის ვადაში სახელმწიფოს ყოფილი პატიმრის, გიორგი მიქიაშვილისთვის 12 000 ევროს გადახდა მოუწევს. ევროსასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება კონვენციაზე ხელმომწერი სახელმწიფოებისთვის სავალდებულოა, აღსრულებაზე ზედამხედველობას ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი ახორციელებს.

ზურაბ ვარდიაშვილი
83.24

"სკოლა აბიტურიენტებს ჰოუვაბანდის ბეჩხეტი ალაჰ იქნება"

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თანამდებობაზე „ქართული ოცნების“ კანდიდატი საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი გიორგი მარგველაშვილია.

„ბევრთან მქონდა კონსულტაცია“ – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა 16 ოქტომბერს გამართულ შეხვედრაზე და დასძინა, რომ არჩევანი ძალიან კარგ კანდიდატზე შეაჩერა.

რამდენად კარგად იცნობს განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებს „ქართული ოცნების“ კანდიდატი? რას ფიქრობს სკოლების დეცენტრალიზაციაზე და როგორ აპირებს განათლების სფეროს დეპოლიტიზირებას? – ამ თემებზე „ლიბერალი“ გიორგი მარგველაშვილს ესაუბრა.

ლიკა ზაკაშვილი
83.10

იდრაქ აბასოვის საქმე

9 სექტემბერს შეიარაღებული ადამიანების ჯგუფი „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის“ ჟურნალისტს, იდრაქ აბასოვს შინ მიუვარდა. აბასოვი, არაერთი პროფესიული ჯილდოს მფლობელი ჟურნალისტი, ამ ფაქტს საკუთარ პროფესიულ მოღვაწეობას უკავშირებს.

ამ თავდასხმის შემდეგ იდრაქის ოჯახის რამდენიმე წევრის, მათ შორის, მისი მშობლების ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო.

იდრაქ აბასოვი „რეპორტიორების თავისუფლებისა და უსაფრთხოების ინსტიტუტის“ ერთ-ერთი დამაარსებელია და ადგილობრივ გაზეთ „ზერკალოსთანაც“ თანამშრომლობს.

სეიმურ ქაზიმოვი, თავისუფალი ჟურნალისტი
გვ.22

ფოტორეპორტაჟი

მეშახტეების „კეთილდღეობა“

გიორგი გოგუა
გვ.36–41

ნომერში:

ფოტო გარეკანზე
ლევან ხერხეულიძე

04 მოკლედ
06 რიცხვები, ციტატები
ორი აზრი
08 უნდა მიიღოს თუ არა საქართველომ მონაწილეობა სოჭის ოლიმპიადაში? *პაატა ზაქარეიშვილი vs შოთა მალაშხია*
პოლიტიკა
16 მე-8 მოწვევის პარლამენტი
ჟურნალისტური გამოძიება
18 აზერბაიჯანის ჩეხური ანკლავი
ინტერვიუ
მედია
26 ინა გუდავაძე: „იმედი“ არავის უნდა ემსახუროს
29 საგადასახადო „ამნისტია“ 2
საზოგადოება
32 თამარ გურჩიანის უპირატესობა
კომენტარი
42 საქართველოს შესაძლო ფინლანდიზაცია
44 ჩინური გამბიტი

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge
სხვა გამოცემები:
„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნანილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა:
სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ჯეიმს აპატურაის ვიზიტი საქართველოში

ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ჯეიმს აპატურაის 18 ოქტომბრის ვიზიტი დასრულებულია. ერთდღიანი ვიზიტი საქართველოში მან წარმატებულად შეაფასა.

ჯეიმს აპატურაიმ საქართველო 19 ოქტომბერს, გამთენიისას დატოვა. მისი თქმით, ნატო საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით ადევნებს თვალს, რათა დარწმუნდნენ, რომ პროცესი ისეთივე წარმატებით გრძელდება, როგორც აქამდე იყო. „ძალიან წარმატებული ვიზიტი მქონდა, სასიამოვნო იყო ძველ და ახალ მთავრობასთან შეხვედრა. გამართული დისკუსიებიდან გამომდინარე აშკარაა სრული კონსენსუსი საერთაშორისო თავდაცვის პოლიტიკაში ევროკავშირისა და ნატოს მიმართულებით, კარგი ურთიერთობები შეერთებულ შტატებთან და მეზობელ სახელმწიფოებთან. მოხარული ვარ, რომ ვხედავ, თუ როგორ ხდება ხელისუფლების დემოკრტიული გადაცემა კანონის დაცვით და ერთმანეთის პატივისცემით“, – განაცხადა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გამგზავრების წინ აპატურაიმ.

აპატურაის განცხადებით, ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ბიძინა ივანიშვილი ბრიუსელში დაპატიჟა.

ნატოს მაღალჩინოსანი პირადად შეხვდა ბიძინა ივანიშვილს. შეხვედრის შემდეგ კი აპატურაიმ აღნიშნა, რომ ახალი ხელისუფლება კვლავ აქტიურად გააგრძელებს ნატოსკენ სწრაფვას.

ტერაქტი ავღანეთში

აღმოსავლეთ ავღანეთში თვითმკვლელმა ტერორისტმა ნატოს და ავღანური არმიის ერთობლივ სამხედრო ბაზაზე შეტევა განახორციელა, რომლის შედეგადაც 45 ავღანელი ჯარისკაცი დაშავდა.

პაკტიას პროვინციაში ოთხშაბათს მომხდარ ტერორისტულ თავდასხმაზე პასუხიმგებლობა თალიბანმა აიღო, ადგილობრივი ორგანოების განცხადებით სამხედრო ბაზაზე მომხდარი ტერაქტიც მათი ერთი ჯგუფის ორგანიზებულია. ტერაქტის შესახებ ოფიციალური განცხადება ნატოს აისაფის სპიკერმა გააკეთა. მისი თქმით, თალიბანმა აფეთქება სამხედრო ბაზაზე მოაწყო და დაშავებულთა შორის ნატოს სამხედროები არ არიან.

2014 წელს ქვეყანას უცხოური ძალები სრულიად დატოვებენ, ხოლო კონტროლს 350,000 ავღანელ ჯარისკაცს გადააბარებენ. საერთაშორისო ძალები მას შემდეგ იმყოფებიან ავღანეთში, რაც თალიბანის ლიდერმა აშშ-ს ოსამა ბინ ლადენის გადაცემაზე უარი განაცხადა, ამის საპასუხოდ აზიის ამ ქვეყანაში სამხედრო ინტერვენცია დაიწყო. 2001 წლიდან დღემდე პარტიზანული ომი მიმდინარეობს თალიბანსა და დასავლეთს შორის

სმოლენსკის ტრაგედიის ფოტოებმა სკანდალი გამოიწვია

ერთ-ერთმა რუსმა ბლოგერმა გამოაქვეყნა ფოტოები სმოლენსკის ტრაგედიიდან. ფოტოებში ჩანს დაღუპულთა გვამები, მათ შორის პოლონეთის პრეზიდენტის, ლეხ კაჩინსკის გვამი. ფოტოების გამოქვეყნებამ პოლონეთში სკანდალი გამოიწვია და ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა რუსულ მხარეს უკვე მოსთხოვა ახსნა-განმარტებები. რუსულმა საგამოძიებო კომიტეტმა, რომელიც სმოლენსკის ავიაკატასტროფას იძიებს, განაცხადა, რომ ეს ფოტოები მათი მხრიდან არ გაჟონილა. კომისია აღნიშნავს, რომ რუსული მხარე უკვე იძიებს საქმეს და არკვევს ვინ გამოაქვეყნა ფოტოები.

რუსულ მხარეს პოლონელმა ჟურნალისტებმა დაასწრეს. გაირკვა, რომ ფოტო ბლოგერმა სახელით გოროჯანინ–იზ–ბ-მ დადო. იგი თავის თავზე ძალიან ცოტა ინფორმაციას წერს. მისი თქმით, იგი 51 წლისაა და დაოჯახებულია.

პოლონეთში ამ ფაქტს „დაცინვას“ ეძახიან. თუმცა, პრემიერ-მინისტრი დონალდ ტუსკი აცხადებს, რომ ფოტოების გამოქვეყნება კანონდარღვევას არ წარმოადგენს და მხოლოდ ეთიკურ ნორმებს არღვევს.

შეგახსენებთ, რომ 2010 წელს რუსეთის ტერიტორიაზე, სმოლენსკში ჩამოვარდა პოლონეთის პრეზიდენტის, ლეხ კაჩინსკის თვითმფრინავი. კატასტროფის შედეგად მთელი ეკიპაჟი დაიღუპა.

პრეზიდენტი კაჩინსკი საქართველოში 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ჩამოვიდა და საქართველოს მხარდაჭერა გამოუცხადა.

ბარაკ ობამასა და მით რომნის მეორე სატელევიზიო დებატები

აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამასა და რესპუბლიკელ მით რომნის შორის რიგით მეორე სატელევიზიო დებატები, სამშაბათს, 16 ოქტომბერს გაიმართა.

ბარაკ ობამამ და მით რომნიმ დებატების პირველი წუთებიდანვე ცხარე პოლემიკა გამართეს. ამერიკის მოქმედმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, რომელმაც გამოკითხვის თანახმად ტელედებატების პირველი რაუნდი წააგო, მეტოქეზე თავადასხმა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით დაიწყო, როგორებიც არის გადასახადები, ეკონომიკის მდგომარეობა და ამერიკის საგარეო პოლიტიკა.

თავის მხრივ, რესპუბლიკელთა კანდიდატმა მით რომნიმ, მოქმედი პრეზიდენტი დაპირებების შეუსრულებლობაში დაადანაშაულა.

როგორც აღნიშნავენ, ტელედებატის პირველ რაუნდთან შედარებით ბარაკ ობამა უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდა. თავის მხრივ, საკუთარ



პოზიციებს შეუპოვრად იცავდა მით რომნიც.
რომნის განცხადებით, მილიონობით დაუსაქმებელი ადამიანი და ქვეყნის ეკონომიკის არსებული მდგომარეობა მოწმობს, რომ პრეზიდენტის პოლიტიკამ მარცხი განიცადა.
„სი-ენ-ენ“-ის ტრადიციული გამოკითხვის მიხედვით, გამოკითხულთა 46%-მა მიიჩნია, რომ დებატები ობამამ მოიგო, რომნის სასარგებლოდ კი-39 %-მა მისცა ხმა.
ტელედებატების საბოლოო, მესამე რაუნდი 22 ოქტომბერს ფლორიდაში გაიმართება

ოპოზიციონერთა დაპატიმრება ჩესეთში

რუსეთის მოძრაობა „მემარცხენე ფრონტის“ კოორდინატორის, სერგეი უდალცოვისა და კიდევ ორი ოპოზიციონერის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. დაკავებულებს ბრალი არეულობის ორგანიზებაში ედებათ. დაკავების საფუძველი დოკუმენტური ფილმი „პროტესტის ანატომია 2“ გახდა, რომლის მიხედვით, ოპოზიცია ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ძალადობრივი გზით ცდილობდა.
ფილმის ავტორები ამტკიცებდნენ, რომ უდალცოვი და რამდენიმე რუსი ოპოზიციონერი, უცხოეთიდან მიღებული ფულითა და ინსტრუქციებით, ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ძალადობრივი გზით აპირებდნენ. ფილმში ნაჩვენებია ფარულად გადაღებული კადრები, რომლის თანახმად, უდალცოვი ინსტრუქციებს ქართველი პოლიტიკოსის, გივი თარგამაძისგან იღებდა.

სამხედრო წვრთნები აშშ-სა და ისრაელში

აშშ-მა და ისრაელმა მასობრივი სამხედრო წვრთნების დაწყების შესახებ განცხადება გააკეთეს. სამხედრო წვრთნები, სახელად „Austere Challenge 2012“, თვის ბოლოს დაიწყება და 3 კვირამდე გასტანს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 3.500 ამერიკელი ჯარისკაცი და 1,000 ისრაელის ოფიცერი.
„ეს იქნება უდიდესი სამხედრო წვრთნა ამერიკისა და ისრაელის ურთიერთობის ისტორიის მანძილზე. წვრთნები გააუმჯობესებს ისრაელის თავდაცვითუნარიანობას, რაც რეგიონის სტაბილურობისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია“, – განაცხადა გენერალ-ლეიტენანტმა კრეიგ ფრანკლინმა, რომელიც მე-3 საჰაერო ძალების ხელმძღვანელია.
შეგახსენებთ, რომ აშშ და ისრაელი, ირანს ატომური ბომბის შექმნის მცდელობაში ადანაშაულებენ, თავის მხრივ ოფიციალური თეირანი აცხადებს, რომ ის ურანს მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის ამდიდრებს და ის საერთაშორისო ატომური სააგენტოს მიზნებთან შესაბამისობაში მოდის.

რიცხვები, ციტატები

1.6577 ლარის ნიშნულზე გამყარდა ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 20 ოქტომბერს ძალაში შევიდა ოფიციალური გაცვლითი კურსი – 1 აშშ დოლარი/1.6577 ლარი.

2 215 661 ამომრჩეველი მონაწილეობდა საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

85 დეპუტატი ეყოლება „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში, მათ შორის პროპორციული სისტემით 44 მანდატს აიღებს, ხოლო მაჟორიტარული სისტემით 41 მანდატს.

65 მანდატი ექნება „ნაციონალურ მოძრაობას“, მათ შორის პროპორციული სისტემით 33, ხოლო მაჟორიტარული სისტემით – 32 მანდატი.

21 ოქტომბერს 2012 წლის მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომა გაიმართება.

190 000 000 ლარი დაკარგა „ეროვნული ბანკის“ ქმედებების შედეგად „ქართუ ბანკმა“ – განუცხადა მედიის წარმომადგენლებს „ქართუ ბანკის“ დირექტორმა ნოდარ ჯავახიშვილმა.

13 სირიიდან ჩამოსული ოჯახი საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყო აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია „აპსნი პრესმა“ გაავრცელა.

„რა თქმა უნდა, ჩვენ ვირჩევდით, რომ ამ არჩევნების შედეგები ოდნავ განსხვავებული ყოფილიყო, მაგრამ ადამიანები, რომლებიც მიზნად დემოკრატიის შენებას ისახავენ, მზად უნდა იყვნენ ერთ დღეს წარმატებას მიაღწიონ, მეორე დღეს წარუმატებლობას შეეგუონ, შემდეგ კი ისევ წარმატება იზეიმონ“, –

მიხეილ სააკაშვილი ევროპის სახალხო პარტიის კონგრესზე სიტყვით გამოსვლისას

„ნოდარს კარგად იცნობთ და ამიტომ მის ბიოგრაფიას არ წაგიკითხავთ. ერთს შეგახსენებთ მარტო, რომ ყველაზე დიდი დამსახურება, რაცა აქვს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქვს წარჩინებით დამთავრებული – ეს არ არის იოლი საქმე“, –

ბიძინა ივანიშვილი ფინანსთა მინისტრად ნოდარ ხადურის წარდგენისას

„ჩვენ რევანშისთვის ამ ტელევიზიაში არ მოვსულვართ, ჩვენ მოვედით ბალანსისა და ობიექტურობისთვის. თუკი ვინმე გრძნობს, რომ „იმედში“ არ უნდა დარჩეს, იქნებ ჯობდეს, სანამ ჩვენ გავუშვებთ, თვითონვე წავიდეს“, –

ნანა პატარკაციშვილი „ტელეიმედში“ გამართული შეხვედრის შემდეგ

ჩვენ გვინდა, დიდი მადლობა გადავუხადოთ ყველა ჩვენს თანამშრომელს იმ საკითხების წამოწევისათვის, რომლებიც ჩვენთვის აქამდე არ იყო ცნობილი.

ვოლოდომირ ლოზინსკი, კომპანია „ჯორჯიან მარგანეზის“ ინვესტორი, ჭიათურაში გაფიცული მაღაროელების წინაშე გამოსვლისას

გახსენით ანაბარი

მოიგეთ

10.000

15.000

20.000

საუკეთესო ადგილი თქვენი დანაზოგისთვის

თიბისი ბანკი
TBC BANK

227 27 27 | * 27 27
www.tbcbank.ge

ДИАЗ

პაატა ზაქარეიშვილი

კონფლიქტოლოგი და რესპუბლიკური პარტიის წევრი

უნდა მიიღოს თუ მონაწილეობა სოჭ

■ გვატემალაში ჩვენი პოზიცია დავაფიქსირეთ და ახლა მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმას ორმაგ სტანდარტებთან მივყავართ. ან მაშინ იყავი მართალი, ან ახლა. მიზეზად ჩერქეზების გენოციდი მოგვყავს. მაშინ, როცა ხმას აძლევდი, არ იყო გენოციდი?

თავის დროზე საქართველოში კამათი იყო, მიგვეცა თუ არა რუსეთისთვის ხმა, რომ სოჭში ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება ჰქონოდა (ოლიმპიური კომიტეტის სხდომა გვატემალაში ტარდებოდა).

არგუმენტი ძალიან მყარი იყო: იქ არის აფხაზეთი, რომელიც უშუალოდ რუსეთის მიერ კონტროლდებოდა. მაშინ ტერმინი ოკუპაცია არ არსებობდა. შესაბამისად, აფხაზეთის გვერდით ჩატარებული ოლიმპიადა საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება.

გვატემალაში ოლიმპიური კომიტეტის სხდომაზე საქართველომ, სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში, სოჭში ზამთრის ოლიმპიადის ჩატარებას ხმა მისცა. რუსეთმა ორი ხმით გაიმარჯვა.

მორალურად მიგვაჩნდა, რომ რუსეთისთვის ამ უფლების მინიჭება არასწორი იყო. მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩვენ ხმა მივეცით. რუსეთმა ამ დავაში ორადორი ხმით გაიმარჯვა.

გვატემალაში ჩვენი პოზიცია დავაფიქსირეთ და ახლა მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმას ორმაგ სტანდარტებთან მივყავართ. ან მაშინ იყავი მართალი, ან ახლა. მიზეზად ჩერქეზების გენოციდი მოგვყავს. მაშინ, როცა ხმას აძლევდი, არ იყო გენოციდი? სააკაშვილს ჩერქეზების გენეცოდი მანამდე რატომ არ გაახსენდა? მახსოვს, სააკაშვილს ჯორჯ ბუშმაც კი დაურეკა და რუსეთისთვის ხმის მიცემა სთხოვა. საქართველოს რუსეთისთვის ხმა რომ არ მიეცა და სხვა ქვეყნებთანაც ემუშავა, როგორც ახლა აკეთებს, სულ ცოტა 2-3 სახელმწიფოს პოვნა შეიძლებოდა, რომელიც სოჭში ოლიმპიური თამაშების ჩატარებას მხარს არ დაუჭერდა.

ამიტომ, არ მინდა ამ ორმაგ სტანდარტებში მონაწილეობა მივიღო. მიიღე გადაწყვეტილება? კეთილი ინებე და შეასრულე. ჩემი აზრით, ეს პრინციპის საქმეა. შეიძლება არასწორი ნაბიჯი გადადგი, მაგრამ კეთილი უნდა ინებო და შეასრულო ის, რასაც ნდობა გამოუცხადე.

არა საქართველომ ჭის ოლიმპიადაში?

ეს ოლიმპიადა ტარდება იმ ტერიტორიაზე სადაც 150 წლის წინ ჩერქეზების სრული გენოციდი მოხდა. ანუ „კრასნაია პალიანაზე“. ეს კიდევ ერთი არგუმენტია, რომ სოჭში ოლიმპიადის ჩატარება არ შეიძლება.

არა

შოთა მალაშხია
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი

როცა ფაშისტური ოლიმპიადა ტარდებოდა, ამერიკის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ თქვა, რომ გერმანიაში ოლიმპიადის ჩატარება ებრაელების დისკრიმინაციის გამო არ შეიძლებოდა. ამ განცხადების გამო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე კომიტეტიდან გარიცხეს და საბოლოოდ, ოლიმპიადა ფაშისტურ გერმანიაში მაინც ჩატარდა. ჩატარებიდან ორი წლის შემდეგ კი მთელმა მსოფლიომ აღიარა, რომ ფაშისტურ გერმანიაში ოლიმპიადის ჩატარება შეცდომა იყო.

არსებობს ევროსაბჭოს, ეუთოს, ნატოს და სხვადასხვა ქვეყნის რეზოლუციები, სადაც წერია, რომ რუსეთმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ამ ტერიტორიაზე განხორციელდა ეთნოწმენდა. ეს იყო იმავე ტიპის დანაშაული, რომელიც ავღანეთში განახორციელა, რაც ფაშისტებმა ებრაელების შემთხვევაში მოიმოქმედეს. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ოლიმპიადის ჩატარება ისეთ ქვეყანაში, რომელმაც სხვა ქვეყნის ოკუპაცია მოახდინა.

ეს ოლიმპიადა ტარდება იმ ტერიტორიაზე, სადაც 150 წლის წინ ჩერქეზების სრული გენოციდი მოხდა. ანუ „კრასნაია პალიანაზე“. ეს კიდევ ერთი არგუმენტია, რომ სოჭში ოლიმპიადის ჩატარება არ შეიძლება.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ დავუჭირეთ ოლიმპიადის რუსეთში გამართვას მხარი: მაშინ ე.წ ოკუპანტებს სამშვიდობოები ერქვათ. მათ ყველა ის ვალდებულება უნდა შეესრულებინათ, რომელიც ეუთოდან იყო მოწოდებული და რაც 1994 წლის, 96-ისა და 98-ის რეზოლუციებში წერია, რომ აქ მოხდა ქართველების ეთნოწმენდა. ამ დროს რუსეთიც აღიარებდა, რომ საქართველოს ტერიტორიზე ეთნოწმენდა მოხდა და ვითომ ამის გამოსწორებას აპირებდა. დღეს კი რუსეთი არც აგვისტოს ხელმოწერილ ვალდებულებებს და არც ევროკავშირის მიერ დაკისრებულ მოვალეობებს არ ასრულებს.

ფოტო: ლევან ხერხულიძე

"სკოლა აბიტურიენტისა და პროფესორის ბეჭედი ალბი იქნება"

ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თანამდებობაზე „ქართული ოცნების“ კანდიდატთან, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორთან

გიორგი მარგველაშვილთან

„ბევრთან მქონდა კონსულტაცია“, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა 16 ოქტომბერს გამართულ შეხვედრაზე და დასძინა, რომ არჩევანი ძალიან კარგ კანდიდატზე შეაჩერა. რამდენად კარგად იცნობს განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებს „ქართული ოცნების“ კანდიდატი? რას ფიქრობს სკოლების დეცენტრალიზაციაზე და როგორ აპირებს განათლების სფეროს დეპოლიტიზირებას?

– ამ თემებზე „ლიბერალი“ გიორგი მარგველაშვილს ესაუბრა.

16 ოქტომბერს თქვენი წარდგენის დროს ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ თქვენი დარწმუნება გაუჭირდა. რატომ?

ეს ჩემი და ბატონი ბიძინას ურთიერთობაა და ეს ის საკითხია, რომელსაც ჩემს საქმიანობასთან კავშირი არ აქვს.

მინისტრად დამტკიცების შემთხვევაში პედაგოგებთან, დირექტორებთან და პროფესიული წრის წარმომადგენლებთან თუ გეგმავთ შეხვედრას?

უპირველესად ქალბატონ მინისტრს უნდა შევხვდე და მასთან ერთად გავიარო ის რეალობა, რაც იქ არის. შემდეგ კი აუცილებლად შევხვდები ყველა იმ პირს, ვინც თქვენ ჩამოთვალეთ.

განათლების სფეროში არსებულ პრობლემებს რამდენად კარგად იცნობთ?

მე უმაღლესი სასწავლებლის რექტორი ვარ და ჩემი მეგობრის, ლევან ვასაძის სკოლაში სამეურვეო საბჭოს წევრი.

როგორც მამას, შეხება მქონდა თბილისის საჯარო სკოლებთან. ჩემმა შვილმა ბევრი სკოლა მოიარა და ასე თუ ისე საჯარო სკოლების პრობლემები ვიცი.

როგორც „ჯიპას“ რექტორს, რამდენიმე ძირითად სტრუქტურასთან მქონდა შეხება. საგამოცდო ცენტრის საქმიანობით კმაყოფილი ვიყავი. აბიტურიენტების მომზადების დონე მომწონდა. თუმცა, ამას არ ვამბობ ერთიან სამაგისტრო გამოცდაზე, მინისტრ დიმიტრი შაშკინის გადაწყვეტილება, რომ ყველა სასწავლებელს ერთიანი სამაგისტრო გამოცდებით უნდა მიგვეღო სტუდენტები, ჩემი აზრით, კანონს ეწინააღმდეგებოდა. შეხება მქონდა სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის ცენტრთან. როგორც ადამიანი, რომელსაც ამოწმებენ, გარკვეულწილად უკმაყოფილო ვიყავი, მაგრამ როცა მივედი ერთ-ერთ სხდომაზე და ვნახე, რა ორგანიზაციებს შეაქვთ განცხადებები აკრედიტაციაზე, ბედნიერი ვიყავი, რომ ვიღაც ამ წამოწყებებს აჩერებს.

განათლების სისტემის დეცენტრალიზაციაზე რას ფიქრობთ?

დეცენტრალიზაცია საჯარო სკოლების მართვაში დირექტორთა და სამეურვეო საბჭოების წარმომადგენელთა ჩართვას გულისხმობს...

პრინციპი სწორია და ერთმნიშვნელოვნად დეცენტრალიზაციისკენ უნდა იყოს მიმართული. თავის დროზე ძალიან ბევრი კარგი წამოწყება იყო, რომელსაც პოლიტიკური დღის წესრიგი ამრუდებდა. როდესაც იწყებ დეცენტრალიზაციას და თან გჭირდება, რომ შენმა დირექტორებმა საარჩევნო კომისიებში იმუშაონ, მიტინგებზე პედაგოგები მოგიყვანონ; დირექტორებს მანდატურების მეშვეობით იჭერ, – ცხადია, რომ ერთი ხელით უშვებ და მეორე ხელით გინდა, ისევ შენკენ მოიზიდო.

დეცენტრალიზაციის სქემა ალბათ გადასახედი იქნება, ნებისმიერი მმართველობითი სისტემა აღმასრულებლის და ზედამხედველის ბალანსს უნდა ემყარებოდეს. ვნახავ, რამდენად არის ამ სქემაში ეს ბალანსი დაცული. მე არც პოლიტიკური და არც მორალური ვალდებულება არ მაქვს, რომ სკოლა სახელმწიფოს აგიტპროპაგანდულ ბერკეტად გადავაქციო.

მმართველი ძალის ზემოქმედებისგან განათლების სფეროს გათავისუფლება „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებაა. როგორ გეგმავთ სფეროს დეპოლიტაზაციას, მაგალითად, ფიქრობთ თუ არა, რომ სკოლის პედაგოგებსა და დირექტორებს არჩევნების ადმინისტრირების პროცესში ჩართვა უნდა აეკრძალოთ...

მე და იმ პოლიტიკურ გუნდს, რომელიც მოვიდა, პოლიტიზირებული სკოლა არ სჭირდება. ამ დრომდე სისტემას აგიტაციურ პროპაგანდულ რესურსად განიხილავდნენ.

რაც შეეხება არჩევნების ადმინისტრირების პროცესში მათ ჩართვას და ამის აკრძალვას, ახლა ამაზე პასუხი არ მაქვს.

მანდატურის ინსტიტუტის რეფორმირებას როგორ გეგმავთ?

მანდატურის ინსტიტუტის არსი შეიცვლება. ამ ინსტიტუტის ფუნქცია სკოლის კონტროლი იყო. ჩემი აზრით, ამ სამსახურის დეცენტრალიზაცია უნდა მოხდეს. ალბათ, არის სკოლები, სადაც საჭიროა, რომ სკოლის პერიმეტრი ამ მექანიზმით დაცული იყოს. მანდატურთან ხელშეკრულება სკოლამ უნდა გააფორმოს და სკოლის ადმინისტრაციამ უნდა განსაზღვროს სჭირდება თუ არა მანდატური სკოლაში. ანუ გადაწყვეტილება იმ სტრუქტურამ უნდა მიიღოს, რომელსაც ადგილობრივი კომპეტენცია აქვს.

სახელმძღვანელოების გრიფირების წესი გადაიხედება?

ავტორები ჩივიან, რომ გრიფირების წესი ბუნდოვანია, მოსწავლეები ჩივიან, რომ ბუნდოვანია ის, რასაც ავტორები წერენ. ცხადია, რომ პრობლემები ამ მიმართულებითაც არის. თუმცა ეს სფერო ზოგადად არ ვიცი, ცოტა რთული კომპეტენციაა და მიჭირს პასუხის გაცემა. ანუ რა უნდა შეიცვალოს და რა უნდა დარჩეს, ამ ეტაპზე პასუხს ვერ გაგცემთ.

ბიუჯეტში განათლების სფეროს დაფინანსებისთვის განკუთვნილი თანხა გაიზრდება?

უფრო ხელმისაწვდომ და ხარისხიან განათლებას ბიუჯეტში თანხის ზრდის გარეშე ვერ შევქმნით. მე მცდელობა და სურვილი მექნება, რომ რაც შეიძლება მეტი რესურსი შემოვიტანო ამ სისტემაში.

2011 წლის ბოლოს მინისტრ დიმიტრი შაშკინის გადაწყვეტილებით საქართველოში საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევების ჩატარება შეჩერდა. როგორია თქვენი პოზიცია საერთაშორისო კვლევებთან მიმართებაში?

სარკეში ჩახედვა და საკუთარი თავის დანახვა იმ მდგომარეობაში რომელშიც ვართ, სასარგებლოა. ამიტომ უნდა გაგრძელდეს საერთაშორისო კვლევები.

მისაღები გამოცდები რომელი ფორმატით ჩატარდება?

ახლა ვმუშაობთ ქალბატონ მაიასთან, რომ ჩამოვყალიბდეთ, რა რესურსები არსებობს. რასაც გავაკეთებთ, ძალიან სწრაფად უნდა გავაკეთოთ, ამაზე სტუდენტების მომავალია დამოკიდებული. მათ დროზე უნდა ჩამოიყალიბონ პოზიცია.

ესაუბრა ლიკა ზაკაშვილი.

საყოველთაო გაფიცვა ჭიათურაში

რეპორტაჟი ჭიათურიდან, სადაც უკვე ერთი კვირაა, მაღაროელი მუშები გაიფიცნენ.

ანი ჭანკოტაძე

15 ოქტომბერს ჭიათურაში „ჯორჯიან მარგანეზის“ ადმინისტრაციულ შენობასთან ასობით მუშა შეიკრიბა. ერთმანეთში ემოციურად საუბრობდნენ და საწარმოების ადმინისტრაციას თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებას სთხოვდნენ.

ჭიათურაში მაღაროს მუშების საყოველთაო გაფიცვა გრძელდება. მანგანუმის მომპოვებელი და გადამამუშავებელი შვიდივე მაღარო პარალიზებულია. მუშები ამბობენ, რომ მანგანუმის წარმოება არ აღდგება, სანამ საწარმოების ადმინისტრაცია მათ მოთხოვნებს სრულად არ შეასრულებს.

ხელფასების 100%-იანი ზრდა, უქმე დღეებში დასვენება, ზეგანაკვეთური სამუშაოს ორმაგად ანაზღაურება, უსაფრთხოების ნორმების დაცვა და შრომის პირობების გაუმჯობესება, საპენსიო ასაკის დაწევა, ჯანმრთელობის დაზღვევა და სოციალური გარანტიები – ასეთია მუშების მოთხოვნები.

მუშები ჩივიან, რომ ამჟამად სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ გარემოში უწევთ მუშაობა.

ქარხნის შენობები, სადაც ისინი დღიურად 8 საათის განმავლობაში მუშაობენ, ნაწილობრივ დანგრეულია. ძველი დანადგარებიდან მანგანუმის სარეცხი წყალი ჟონავს და სამუშაო ოთახებს ტბორავს. უგულისყუროდაა მიტოვებული დანადგარების გაუქმების შემდეგ დარჩენილი ორმოები, შენობის ფანჯრების ნაწილი ისევ შეუმინავია და სამუშაო დარბაზებში ორმხრივი ქარი აღწევს, ნაწილი კი, მუშების თქმით, საპარლამენტო არჩევნებამდე 2 კვირით ადრე შემინეს. ავარიულია შენობების კიბეები და ფაბრიკების დამაკავშირებელი ხიდები. ძველი სახურავიდან კი წვიმის დროს წყალი ჩამოდის.

„ლიბერალმა“ ითხვისის გამამდიდრებელი ფაბრიკის შენობა მოინახულა. ფაბრიკის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. დაცული არაა სანიტარიული თუ ტექნიკური უსაფრთხოების ნორმები. შენობაში მხოლოდ ერთი საშხაპე ფუნქციონირებს, სადაც, 7-8 მუშას ერთად უწევს დაბანა. სასმელი წყალი, რომელიც მუშებს მიეწოდებათ, შენობაში დაზიანებული მილით შემოდის. „ნაგვით არის ხოლმე სავსე. ახლა წვიმა თქვი, წვიმის წყალი სულ ამას ერევა“, – ამბობს ითხვისის ფაბრიკის დანადგარის მემანქანე.

კარიერებსა და ფაბრიკების შენობებს შორის ძველი, დაჟანგული საბაგირო გზები გადის. „ერთხელ ჩამოწყდა კიდეც, ვაგონი რო გადიოდა“, – იხსენებს ერთ-ერთი მუშა.

ყველაზე სახიფათოდ მუშები მაინც გვირაბგამყვანების საქმიანობას ასახელებენ. ისინი კარიერებზე მუშაობენ და მანგანუმის შემცველი ქანების კლდის მონაკვეთებს აფეთქებენ, რის შემდეგაც ნამსხვრევები სხვა მუშებს მიაქვთ გადასამუშავებლად.

შუქურთის მაღაროს მტვირთავი, 57 წლის იურა „ლიბერალს“ უყვება, რომ ახლა ფაბრიკის მფლობელები ერთხელ უკვე დამუშავებულ კარიერებს ხელმეორედ ამუშავებენ, რაც აფეთქების დროს კლდის ჩამოშლის რისკებს ზრდის: „ოღონდ მარგანეცი გამოვიდეს და ჩვენი სიცოცხლე ფეხებზე კიდია ყველას. მარგანეცი აინტერესებთ, მეტი არაფერი. თავად მილიარდელები არიან და ამ საწყალ მუშებს არაფერს არ აძლევენ“, – ამბობს იურა.

მუშების საშუალო ხელფასი მაღაროებში 300-350 ლარია, გვირაბგამყვანების კი – 600-700.

ჭიათურის მაღარო, 17 ოქტომბერი 2012

ფოტო: ანა ქანკოშაძე

„8 საათი რომ შეხვალ 10 კილომეტრის სიღრმეზე და დღის სინათლეს ვერ ხედავ, 300 ლარი რა არის? 8 საათი უნდა იყო უჰაერო სივრცეში... არაფერი პრივილეგია მუშას არა აქვს. ჯანმრთელობა არა, ნორმალური კვება – არა“, – ამბობს იურა.

მუშებს დღიურად ურიგდებათ საკვები ულუფები, ეგრეთ წოდებული პაიოკები, რომლებიც ორი მოხარშული კვერცხის, მეოთხედი აგურის პურის და 200 გრამი მაწვნისგან შედგება. მათი მონათხრობით, დასარიგებლად ადმინისტრაცია მაღაზიისგან ჩამოწერილ, უვარგის პროდუქტებს იღებს. „ყარაულის ძაღლს მივეცით ეს ჩვენი პაიკა და ძაღლმაც კი არ შეჭამა, უარი გვითხრა“.

ერთი მტვირთავი ჟურნალისტებს საკუთარ ხელებს აჩვენებს „ა, ნახეთ, ნიჩაბზე ვმუშაობ, დასვრილი მაქვს ხელები... და ხელფასის მეორე დღეს უკვე ვალებს ვიღებ. რატომ არ უნდა მყოფნიდეს ხელფასი, ჩემ უკან ცოლი და შვილები დგას, ამ ხელფასით ვერ ვარჩენ, ვერ ვაჭმევ საჭმელს“. „ზანგები რომ ჰყავდათ ამერიკელებს 200 წლის წინ, იგივე პირობებში გვამუშავებენ“,

– ამბობენ სხვები. „მოვიდენ, ნახონ, რა დღეში ვართ, რა პირობებში ვმუშაობთ და როგორ ვკვდებით შიმშილით და ან მოიტანონ იარაღი და დაგვხოცონ ყველა, ტყვია-წამალი კი აქვთ საკმარისი“, – აგრძელებს შუქურთის მაღაროს გვირაბგამყვანი.

მუშები საკუთარ უკმაყოფილებას ქარხნის მფლობელების გარდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ჭიათურის გამგეობისადმი მიმართავენ. კომპანია „ჯორჯიან მარგანეზის“ მფლობელ უკრაინელ ინვესტორს მანგანუმის ქარხანა 49 წლიანი ექსპლუატაციის უფლებით სწორედ ნაციონალური მოძრაობის მთავრობაში ყოფნის დროს, 2009 წელს გადაეცა. არასამთავრობო ორგანიზაცია „ჭიათურელთა კავშირის“ თავმჯდომარე, შოთა გაფრინდაშვილი ამბობს, რომ ამ ხელშეკრულების დადების პირობები გამოძიების საკითხია და შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გამოიკვლიონ, თუ რატომ და რა პირობებით დადო სახელმწიფომ ინვესტორთან მსგავსი ხელშეკრულება.

ბრიტანეთის გეოლოგიური სამსახურის 2008 წლის მონაცემებით, მსოფლიოში მანგანუმს სულ 26 ქვეყანა აწარმოებს. საქართველო წარმოების მოცულობით მე-11 ადგილზეა და წლიურად 300 ათას ტონაზე მეტ მანგანუმს აწარმოებს. ჭიათურაში მანგანუმის დამოუკიდებელი საბადოებია, სადაც ქანებში მანგანუმი 40%-მდე კონცენტრაციითაა.

მუშები მოითხოვენ მათი შრომა შეფასდეს დახარჯული ენერგიისა და ნაწარმოები პროდუქტის ღირებულების შესაბამისად. თუმცა ინვესტორი და ქარხნის ადმინისტრაცია მუშებისგან მანგანუმის გასაყიდ ფასებს მალავს. „ხელფასებს არ გვიზრდიან, არ შეგვიძლიაო. რა არ შეუძლიათ, თვითონ 40 ათასი ლარები აქვთ ხელფასი ჩვენს ხარჯზე. კაკო გურჯიძეს, ტრესტის დირექტორს 32 ათასი აქვს, ჩვენ 10 %-ით უნდა მარტო რომ გაგვიზარდოს 300 ლარი. სამასი ლარის 10% რა არის, მაგის ცოლს სალონში არ ეყოფა და ხალხი კიდე უწამლოდ კვდება“, – ამბობს მაღაროელი ქალი.

მუშები ნაციონალურ მოძრაობასა და ქარხნის ადმინისტრაციას ერთ ინტერესთა ჯგუფად თვლიან, რომლებიც ქარხანაში მაღალანაზღაურებად ადგილებზე საკუთარ ნათესავებს ნიშნავენ. „ჭიათურაში კლანური სისტემა მოქმედებს“, – ჩივიან მუშები. ადმინისტრაციის შენობის წინ შეკრებული, გაგულისებული მუშები დროდადრო შენობაში შეჭრას ცდილობენ. ჰყვებიან, რომ წლების განმავლობაში მუშებში პროტესტის ჩახშობას და დაშიშმინებას ადგილობრივი მმართველობა უზრუნველყოფდა, რის გამოც

მუშებს დღიურად ურიგდებათ საკვები ულუფები, ეგრეთ წოდებული პაიოკები, რომლებიც ორი მოხარშული კვერცხის, მეოთხედი აგურის პურის და 200 გრამი მაწვნისგან შედგება.

მუშების მძიმე სამუშაო პირობები და ანაზღაურება უცვლელი რჩებოდა. საპარლამენტო არჩევნებში ახალი ძალის გამარჯვებამ კი მუშებს ცვლილებების იმედი გაუჩინა და ფიქრობენ, რომ მათ პროტესტს აზრი მიეცა.

მაღაროელები გაერთიანებული არიან პროფკავშირშიც, თუმცა ამბობენ, რომ პროფკავშირის წარმომადგენლები არაფერში ეხმარებიან და პროფკავშირის რესურსებს საკუთარი ინტერესებისთვის იყენებენ. თვითორგანიზებისა და ქარხნის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკების პროცესშიც, მუშები პროფკავშირის წარმომადგენლებს არ ენდობიან.

„პროფკავშირები ხელფასს გვიქვითავენ, ეგ არის, მეტი არაფერი. ხელფასის 1% მაგათ მიაქვთ. იქით ტაძრის მშენებლობაზე გვიქვითავდნენ 5 ლარს ყველას. დახმარებით მარტო ჩვენ თუ ვეხმარებით ერთმანეთს ამხანაგურად“, – ამბობს მტვირთავი იურა და მუშების დაზიანების და დაღუპვის შემთხვევებს იხსენებს.

„ცოტა ხნის წინ ორი კაცი აფეთქდა დეტონატორზე და ქარხანამ მათი ოჯახებისთვის მუდმივი ხელფასის დანიშვნის მაგივრად ორივე ოჯახს ერთად 14 ათასი ლარი მისცა კომპენსაცია და დაკრძალვის ხარჯებზე ეყოთ ეგ ფული, ეგ არი“, – ჰყვება ითხვისელი მაღაროს მუშა როლანდ აბდუშელიძე.

„რატომ არ უნდა გვქონდეს იმნაირი ხელფასი, რომ ოჯახი ვარჩინოთ. მაღაროში რომ ჩავდივარ, დღეს თუ ხვალ, შეიძლება, ვერ გამოვიდე ცოცხალი იქიდან და რატომ, რის გამო?“ – ამბობს 24 წლის გიორგი.

მუშებს ხელფასების გარდა, პრემიაც ეძლევათ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო გეგმას გადაჭარბებით შეასრულებენ. თუმცა, მათი თქმით, კომპანიის ადმინისტრაცია სამუშაო გეგმის მოცულობას ეტაპობრივად ზრდის, რაც მუშების შრომის ინტენსივობასაც ზრდის და პრემიის გამომუშავების შესაძლებლობასაც ამცირებს.

„პოლიტიკა აქვთ, რომ მუშის ხელფასი თვეში პრემიიანად 420 ლარს არ უნდა აშორდეს. ხან რა მიზეზს ნახულობენ, პრემია რომ არ მოგცენ, ხან რას. ერთმა მაღარომაც რომ ჩააგდოს გეგმა, პრემიას დანარჩენებსაც აღარ აძლევენ“, – ჰყვებიან მუშები და ამიტომ უარს ამბობენ პრემიებზე და ხელფასის გაორმაგებას ითხოვენ.

ქარხნის ადმინისტრაცია მუშებს ხელფასის 10%-ით გაზრდას და ერთჯერად 10%-იან საპრემიო დანამატს დაჰპირდა. კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის, თინა ხიდაშელის უკრაინელ ინვესტორთან შეხვედრის შემდეგ კი ხელფასის 25%-იან ზრდას დათანხმდნენ, თუმცა საპრემიო დანამატების გაუქმების ფასად. მუშებს 25 %-იანი ზრდა არ აკმაყოფილებთ და საკუთარი მოთხოვნების გადახედვასა და კომპრომისზე წასვლას არ აპირებენ. ისინი ამბობენ, რომ გაფიცვას მოთხოვნების სრულად შესრულებამდე არ შეწყვეტენ და გაფიცვა საქალაქთაშორისო მასშტაბს მიიღებს.

ოპერატიულად განახლებადი ახალი ამბები, სიუჟეტები, გადაცემები და ანონსები.

tv9.ge/facebook

tv 9

ეცადე დაინახო მეტი

აქვე შეგიძლია უყურო პირდაპირ ეთერს, დაათვალიერო ფოტო და ვიდეო არქივი და გაეცნო ჩვენს ორგანიზაციაში არსებულ ვაკანსიებს.

მე-8 მოწვევის პარლამენტი

ეკა მაღალდაძე

ფოტო: სოფო ბოგვერაძე

ახალი პარლამენტის სხდომათა დარბაზი, ოქტომბერი 2012

***

1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგებით, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ამომრჩეველთა 54.97 პროცენტმა მისცა ხმა, „ნაციონალურ მოძრაობას“ – 40.34 პროცენტმა. სხვა ვერცერთმა პარტიამ სავალდებულო 5 პროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახა.

ამ შედეგების მიხედვით, „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში 85 სადეპუტატო მანდატი ექნება (44 – პროპორციული სიით, 41 მაჟორიტარულით); „ნაციონალურ მოძრაობას“ კი – 65 (33 – პროპორციული სიით, 32 – მაჟორიტარულით)

გამარჯვებული მაჟორიტარებიდან სამი მინისტრობის კანდიდატებად დასახელდა. სამტრედიის მაჟორიტარი კახი კალაძე – ენერგეტიკის მინისტრად, ნაძალადევის მაჟორიტარი თეა წულუკიანი – იუსტიციის მინისტრად და არჩილ კბილაშვილი, რომელმაც ბაღდათის ოლქში გაიმარჯვა, გენერალური პროკურორის თანამდებობაზეა წარდგენილი.

ამ მაჟორიტარების ადგილი პარლამენტში მომავალი წლის ოქტომბრამდე იქნება თავისუფალი, ვიდრე მათი შემცვლელების ასარჩევად შუალედური არჩევნები გაიმართება. პარტიული სიით არჩეული და მთავრობაში გადანაცვლებული დეპუტატების ადგილებს სიით მომდევნო კანდიდატები დაიკავებენ.

***

ნებისმიერი კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე განხილვას მისი საკომიტეტო მოსმენები უნდა უძღოდეს წინ. პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, კომიტეტის წევრების მოწვევის შემთხვევაში მთავრობის წევრი ვალდებულია დაესწროს საკომიტეტო მოსმენას, დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცეს და გაწეული საქმიანობის ანგარიში წარადგინოს.

პარლამენტარის უფლებამოსილებანი

პარლამენტის წევრს ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობა და საჯარო სამსახურში სხვა რაიმე თანამდებობაზე ყოფნა. თუმცა, ის შესაძლოა ფლობდეს აქციებს, წილს და სხვა ქონებას. ის უშუალოდ არ უნდა იყოს სამეწარმეო საქმიანობის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ან საკონსულტაციო ორგანოს წევრი.

პარლამენტის წევრი ვალდებულია შეავსოს და საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა. პარლამენტარის წინააღმდეგ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ წინადადება პარლამენტში საქართველოს იუსტიციის მინისტრს შეაქვს. პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაც მხოლოდ იუსტიციის მინისტრს შეუძლია.

სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ პარლამენტის წევრის და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ პარლამენტის წევრის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ხელყოფა ემუქრება. პარლამენტის წევრი ვალდებულია ყოველწლიურად გაიაროს სამედიცინო და ნარკოლოგიური გამოკვლევები. უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში პარლამენტის წევრზე არ ვრცელდება სავალდებულო სამხედრო სამსახურში და რეზერვში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების გაწვევის მოთხოვნა.

საპარლამენტო ფრაქცია

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, ერთი პარტიული სიით არჩეულმა ერთი პარტიის წევრებმა შეიძლება შექმნან მხოლოდ 1 ფრაქცია. პარლამენტის წევრს, გარდა მაჟორიტარისა, უფლება არა აქვს, იყოს სხვა ფრაქციის წევრი თუ მისი პარტიის წევრებმა ფრაქცია შექმნეს.

ფრაქციას დამატებითი სამართლებრივი შესაძლებლობებიც აქვს – პარლამენტის ბიუროს შემადგენლობაში ფრაქციის თავმჯდომარეც შედის. პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას პრეზიდენტი სწორედ საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციის შემდეგ წარადგენს. საპარლამენტო გამოსვლების დროს ფრაქციას ცალკე დრო გამოეყოფა, მისი სახელით შესაძლებელია საკანონმდებლო ინიციატივით გამოსვლა, ფრაქციებს საკუთარი წარმომადგენლობა ჰყავთ კომიტეტებშიც და ა.შ.



კარლოვი ვარი, ჩეხეთი

აზერბაიჯანის ჩეხური ანაბავი

პავლა ჰოლცოვა, ხადიჯა ისმაილოვა, იარომირ ჰასონი

თუ ბაქოს ჰეიდარ ალიევის სახელობის აეროპორტში მოხვდებით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ აზერბაიჯანის ავიახაზების პრაღის რეისზე ბიზნესკლასის ბილეთების რეგისტრაციაზე რიგი ეკონომკლასისაზე ნაკლები ნამდვილად არ იქნება.

ასე იმის გამო ხდება, რომ აზერბაიჯანის მმართველი წრეებისათვის ბოლო წლების განმავლობაში ჩეხეთის რესპუბლიკა სასურველ ქვეყნად იქცა.

ჩეხეთში ისინი ჩამოდიან არა მხოლოდ როგორც მდიდარი ტურისტები, რომელთაც ქვეყნის ისტორიული ღირსშესანიშნაობებისა და ლამაზი ბუნების ნახვა სურთ, არამედ ასევე როგორც ინვესტორები. ნავთობით მდიდარი აზერბაიჯანის ოფიციალურ პირებს, მათ შორის ალიევების მმართველი ოჯახის წევრებსაც, პრაღაში კომპანიები აქვთ შექმნილი. ისინი მიწის ნაკვეთებს ყიდულობენ და სასტუმროებსა და მაღალი კლასის ვილებსაც აშენებენ. მათი უმრავლესობა ინვესტიციებს ცნობილ საკურორტო ქალაქ კარლოვი ვარიში (კარლსბადში) ან მის მახლობლად აკეთებს.

მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ამ ინვესტიციებიდან ზოგიერთი უკანონოა.

მათი ინვესტიციების ოდენობა მთელი სისრულით მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის მხილების პროექტმა (OCCRP) ჩეხეთში ცნობილი აზერბაიჯანელების კუთვნილი ქონებისა და კომპანიების მონაცემები შეისწავლა. აღმოჩნდა, რომ აზერბაიჯანის პოლიტიკური ელიტა „მონოპოლს“ რეალურ ცხოვრებაში თამაშობს და ევროკავშირის შუაგულში საკუთრების შეძენას გამალებით ცდილობს.

აზერბაიჯანელების სიყვარული კარლოვი ვარისადმი, რომელიც თავისი ბუნებრივი წყაროებით, საკურორტო ინფრასტრუქტურითა და მაღალი ხარისხის შუშითაა ცნობილი, ისტორიული საფუძველიც აქვს. ჩეხეთის რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილში გერმანიის საზღვრის სიახლოვეს მდებარე სწორედ ამ თვალწარმტაც ქალაქს სტუმრობდნენ რუსეთის მმართველი წრეები 1711 წლიდან, როცა მინერალური წყაროებით სამკურნალოდ აქ პეტრე დიდი ჩამოვიდა. რუსეთის გავლენიანი და მდიდარი მოქალაქეები გოლფის ძვირადღირებულ მოედნებსა და მიმზიდველ მინერალურ წყაროებზე დასასვენებლად და სამკურნალოდ აქ ახლაც ჩამოდიან. მომსახურება, განსაკუთრებით ძვირადღირებულ დაწესებულებებში, რუსულ ენაზეა. იყო დრო, როცა ადგილობრივი ჰოკეის გუნდი რუსეთის ეროვნულ ლიგაში აპირებდა თამაშს, ხოლო ჩეხების უმრავლესობისათვის კარლოვი ვარი რუსეთთან ახლო და მეგობრული ურთიერთობების განსახიერებაა.

საოჯახო საქმე

„აზერბაიჯანელები კარლოვი ვარის კარგად იცნობენ, – ამბობს ჩეხი სენა-

ტორი იან ჰორნიკი, – მათმა პრემიერ-მინისტრმა ერთხელ მითხრა, რომ ამ ქალაქში უფრო საქმეზე ჩამოდის, ვიდრე დასასვენებლად, რადგან აზერბაიჯანის მთავრობის ნახევარი აქ ეგულება“.

კავშირების დამყარება ქვეყნის პირველი ოჯახიდან იწყება. აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის ორი ქალიშვილიდან ერთ-ერთი, არზუ ალიევა, 2006 წლიდან პრაღაში არსებული კომპანიის ZODIAC Immobilienbesitz-ის ერთადერთი მეწილეა.

ჩეხეთის მიწის კადასტრის მონაცემებით, ამ ფირმას კარლოვი ვარის პრესტიჟულ უბანში 1 მილიონი ევროს ღირებულების ვილა ეკუთვნის.

როცა ჟურნალისტები გორაკებზე განლაგებულ ამ მდიდრულ უბანს ეწვივნენ, იქ კარგად მოვლილი, მაგრამ ცარიელი ვილა დახვდათ. კარზე ზარიც დარეკეს, მაგრამ არავინ გამოხმაურებიათ.

ალიევას კომპანიის მთავარი ოფისი პრაღაში ალფერი-ჰრდინას იურიდიულ ოფისებს შორის მდებარეობს. სარეკლამო ბარათებით თუ ვიმსჯელებთ, ეს ფირმა აუდიტორულ, საგადასახადო და იურიდიულ მომსახურებას ეწევა. მისმა წარმომადგენელმა პაველ ალფერი-ჰრდინამ ალიევას ან რომელიმე სხვა კლიენტის ბიზნესზე რაიმე კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

არზუ ალიევა ოჯახის ერთადერთი წევრი არაა, ვისაც ჩეხეთში ბიზნესი აქვს. მისი პაპა დედის მხრიდან, არიფ ფაშაევი, პრაღასა და კარლოვი ვარიში კიდევ ერთი კომპანიის, RETRO-INTER-ის მფლობელია. ფორმალურად ფაშაევი ავიაციის ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელია, თუმცა „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებული ამერიკელი დიპლომატების საიდუმლო მიმოწერის მასალებით ირკვევა, რომ ოჯახი აზერბაიჯანის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. დიპლომატები ფაშაევებს „აზერბაიჯანის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ოჯახად“ მოიხსენიებენ.

კომპანიის საიტისა და სააუდიტორო ფირმა „ერნსტისა და იანგის“ მონაცემებით, ფაშაევი აკონტროლებს „ფაშა ჰოლდინგს“, რომელიც აზერბაიჯანული კონგლომერატია და დაზღვევის, საბანკო, ტურიზმის, მშენებლობისა და ინვესტიციების სფეროებში საქმიანობს. „ერნსტი და იანგი“ ფაშაევს ჰოლდინგში მთავარ პირად ასახელებს. ჰოლდინგის ნაწილია ფაშა ბანკი, ხოლო მმართველი დირექტორი – არიფ ფაშაევის ძმისშვილი მირ ჯამალ ფაშაევი. ჰოლდინგის საიტზე წაიკითხავთ რიხიან განცხადებას, რომ ეს კომპანია აზერბაიჯანის უდიდესი ახალი კომპანიაა.

RETRO-INTER-ი კარლოვი ვარის რაიონში რამდენიმე ნაგებობას ფლობს, მათ შორის, ახალ სასტუმროს სახელწოდებით „იესეტერი“.

სასტუმრო „იესეტერის“ მშენებლობა ამჟამად უკვე მთავრდება. ნაგებობა მდინარის ნაპირზეა აღმართული და ქალაქიდან 10 წუთის სავალზე მდებარე კაშხალს გადაჰყურებს. სასტუმროს ერთ მხარეს ტყე აკრავს, მეორე მხარეს კი – განცალკევებული რუსული სოფელი, რომელშიც შესვლა მხოლოდ ჭიშკრიდან შეიძლება. მეთევზის სახლის ნანგრევების ადგილას რუსულ დეკორაციულ სტილში ნაგებ შენობას 30 ნომერი, რესტორანი და ორი ნავმისადგომი აქვს. უწინ ეს მიდამო ადგილობრივი მოსახლეობის საყვარელი დასასვენებელი და საბანაო ადგილი იყო, მაგრამ 90-იან წლებში აქ არსებული ერთადერთი ბუნებრივი წყალსაცავი განადგურდა და ოჯახები კვირის ბოლოს დასასვენებლად უკვე აღარ ამოდიან. ამ ადგილას სასტუმროს მშენებლობამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ზოგს მიაჩნია, რომ ის ამ რაიონის აღორძინებას შეუწყობს ხელს, სკეპტიკოსები კი მის მონუმენტურ და გარემოსათვის შეუფერებელ სტილს იწუნებენ და ამბობენ, რომ მაღალი ფასების გამო რიგითი ჩეხებისათვის მიუწვდომელი იქნება.

RETRO-INTER-ი ახლომდებარე ქალაქებში იენიშოვში, მეზიროლისა და დოუბიში სამშენებლო ტერიტორიას, სახლსა და ბინასაც ფლობს.

ბიზნესმენი

RETRO-INTER-ის წილების ერთადერთი მფლობელი არიფ ფაშაევია, დირექტორი კი კიდევ ერთი აზერბაიჯანში დაბადებული, ამჟამად კი ჩეხეთის მოქალაქე – ფახრადინ მირზოევი, რომელიც კარლოვი ვარიში ცხოვრობს. RETRO-INTER-ის გარდა ის შვეიცარიული ფირმის, TERMA TRAVEL GROUP-ის დირექტორიცაა. ეს კომპანიები კარლოვი ვარიში მოქმედებს, მაგრამ ამ უკანასკნელს ფილიალი პრაღაშიც აქვს. ეს არის GLOBAL-ACCOUNTING-SERVICES.COM, რომელსაც სულ რამდენიმე თვის წინ RETRO-INTER-თან საერთო ოფისი ჰქონდა. TERMA ჯგუფის მეშვეობით მირზოევი ჩეხეთის რესპუბლიკის კიდევ ხუთიოდე კომპანიის მუშაობაში უშუალოდ მონაწილეობს.

როგორც ჩანს, მირზოევი წარმატებული პირია, რომელსაც ჩეხეთში მყოფ აზერბაიჯანულ წრეებთან კავშირები აქვს. ის პორშეთი დადის და TERMA TRAVEL RACING TEAM-ის სპონსორობით ჯგუფიც ჩამოაყალიბა. როგორც მის Facebook-ის გვერდზეა ნათქვამი, ისეთ

ᲡᲐᲘᲓᲝᲕᲘ ᲕᲐᲠᲘ

- **აზერბაიჯანის პრეზიდენტის ქალიშვილს საკურორტო ქალაქ კარლოვი ვარიში ძვირადღირებული ვილა აქვს.**
- **„იესეტერი“ ეკუთვნის კომპანიას, რომელსაც აზერბაიჯანის პირველი ლედის მამა, არიფ ფაშაევი აკონტროლებს.**
- **კავკასიის მთავარ მუფტის, ალაჰშუქურ ფაშაზადეს ჩეხეთის რესპუბლიკაში მრავალბინიანი სახლი აქვს.**
- **ძმებს ჯავანშირ და ალაჰშუქურ ფაშაზადეებს, რომელთაგან პირველი პარლამენტის წევრია, მეორე კი – კავკასიის მთავარი მუფტი, კარლოვი ვარიში მრავალბინიანი სახლი აქვთ.**
- **აზერბაიჯანთან დაკავშირებული რამდენიმე კომპანია კარლოვი ვარის ცენტრში მდებარე შენობაშია განთავსებული.**

მნიშვნელოვან პირებს იცნობს, როგორიცაა ჰორნიკი.

„ბატონ მირზოევს ვიცნობ, რადგან აზერბაიჯანის ელჩი ჩემი მეგობარია და ჩვენს საქმიან საუბრებს TERMA TRAVEL-ის წარმომადგენელიც ხშირად ესწრებოდა“, – ამბობს ჰორნიკი.

OCCRP-ის ჟურნალისტები დაუკავშირდნენ მირზოევს, რომელმაც მხოლოდ ის თქვა, რომ მისი ბიზნესი „სხვა პირებთან დაკავშირებული არ არის“.

მირზოევმა, რომელიც აზერბაიჯანის ავიახაზების ოფიციალური წარმომადგენელი იყო, 2010 წლის ივლისში ამ ავიაკომპანიის პირველ რეისს პრაღაში ოფიციალური დახვედრა მოუწყო.

ორ დედაქალაქს შორის პირდაპირი რეისებით სარგებლობენ სხვა მსხვილი აზერბაიჯანელი ბიზნესმენებიც, რომლებსაც ბიზნესი ასევე ჩეხეთის რესპუბლიკაში აქვთ.

სასულიერო პირი ბიზნესში

ამ სფეროში სხვა მნიშვნელოვან აზერბაიჯანელ ინვესტორებს შორის აზერბაიჯანის პარლამენტის წევრი ჯავანშირ ფაშაზადე და მისი ძმა ალაჰშუქურიც არიან. ალაჰშუქურ ფაშაზადე შეიხი, კავკასიის მთავარი მუფტი და კავკასიის რელიგიური საბჭოს თავმჯდომარეა. 2009 წელს ის მსოფლიოს 500 ყველაზე გავლენიანი მუსულმანი მოღვაწის სიაში მოხვდა.

რეესტრის ჩანაწერებით ირკვევა, რომ ძმები ჩეხური კომპანიის მფლობელები არიან. ამ კომპანიის სახელია „ainur KV“ და ისიც კარლოვი ვარიშია დარეგისტრირებული. ფირმას კარლოვი ვარის ცენტრში მრავალბინიანი სახლი აქვს.

ჯავანშირ ფაშაზადემ თავისი მძღოლის პირით გვაცნობა, რომ ჩეხეთში არანაირი ბიზნესი არა აქვს.

აზერბაიჯანის საინფორმაციო საშუალებებში ალაჰშუქურ ფაშაზადეს წინააღმდეგობრივ პირად მოიხსენიებენ. ამ სასულიერო მოღვაწეს ქვეყნის მთავრობასთან ახლო ურთიერთობა აქვს და როგორც მუსულმანი ილჰამ ალიევისადმი ერთგულებას ხაზს ხშირად უსვამს. აზერბაიჯანში ასევე ცნობილია, რომ მას კავშირი აქვს თურქ ბიზნესმენ ალი ევსენთან, რომელიც, როგორც ამბობენ, ეგვიპტის ყოფილი ხელმძღვანელის, ჰოსნი მუბარაქის ნდობით აღჭურვილ პირთან, ჰუსეინ სალემთან ფულის გათეთრების ოპერაციაში მონაწილეობის გამო ამჟამად ესპანეთის ციხეში იხდის სასჯელს. OCCRP-ს ევსენის ბიზნესის საკითხები უწინაც გამოუძიებია. ამასთან, ფაშაზადეს ვაჟს ცოლად ევსენის ქალიშვილი ჰყავს.

სოციალური კვლევების ცენტრ „ტოლერანტის“ თავმჯდომარე აზერ რაშიდოლუ ამბობს, რომ თუ ეს ინფორმაცია ნამდვილია, მთავარი მუფტი თანამდებობიდან უნდა გადადგეს.

„კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს გაუმჭვირვალობასა და შეიხის ბიზნესებზე ბევრს ლაპარაკობდნენ, თუმცა ბიზნესის სფეროში საქმიანობას ის ყოველთვის უარყოფდა. ესმის, რომ ეს მისთვის შეუფერებელია და ეს მართლაც ასეა“.

რაშიდოღლუს თქმით, ბიზნესში მონაწილეობა ინტერესთა ფუნდამენტურ კონფლიქტს იწვევს.

„თუ რელიგიურ მოღვაწეს ბიზნესი აქვს, განსაკუთრებით კი ისეთ ქვეყანაში, როგორიც აზერბაიჯანია, თავისი ბიზნესის ინტერესებსა და მუსულმანების ინტერესებს შორის არჩევანის გაკეთება მოუწევს“.

რაშიდოღლუ ამბობს, რომ ეს კონფლიქტი უკვე მოხდა კიდეც, რადგან მთავარმა მუფტიმ მუსულმანთა უფლებები არ დაიცვა, როცა პრეზიდენტმა სკოლებში ჰიჯაბის ტარება აკრძალა და მეჩეთები დახურა.

„სამაგიეროდ, პრეზიდენტსა და მის ოჯახს ყოველთვის მხარს უჭერს, რომ ბიზნესის კეთებისა და საზღვარგარეთ ფულის ჩადების საშუალება ჰქონდეს“.

ერთ-ერთი ექსპერტის თქმით კი, აზერბაიჯანის კანონმდებლობით ჯავანშირ ფაშაზადეს ქონება უკანონოა.

„პარლამენტის წევრს ბიზნესი არ უნდა ჰქონდეს. ამას კანონი კრძალავს. გამოდის, რომ თუ ბიზნესი აქვს, კანონს არღვევს, – ამბობს ბაქოს არასამთავრობო ორგანიზაციის, „ანტიკორუფციული ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი ვასიფ მოვსუმოვი, – პარლამენტის წევრს კანონი ბიზნესში საქმიანობას უზღუდავს. არა აქვს მნიშვნელობა, ბიზნესი ქვეყნის შიგნითაა თუ გარეთ“.

სია ხსენებული პირებით არ შემოიფარგლება. უწინ OCCRP-ი იტყობინებოდა, რომ არზუ ალიევასა და მის დას ლეილას, ასევე მათ დედას მეჰრიბან ალიევას ეკუთვნით პანამაში რეგისტრირებული უამრავი კომპანია, რომელთა მეშვეობითაც აზერბაიჯანში ოქროს საბადოებს, მობილური კავშირგაბმულობის კომპანიას, სამშენებლო ფირმასა და სხვა შემოსავლიან ბიზნესებს საიდუმლოდ აკონტროლებენ. ამასთან, მეჰრიბან ალიევა პარლამენტის წევრიცაა. მთავრობის წარმომადგენლებთან სატელეფონო ზარებისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით კონტაქტების დამყარება რამდენიმეჯერ ვცადეთ, თუმცა უშედეგოდ.

„მათ დეკლარაციები უნდა შეავსონ და განაცხადონ, რომ ბიზნესის სფეროში საქმიანობა შეწყვიტეს. ის ფაქტი, რომ ეს არ გაკეთებულა, კორუფციის აშკარა მაჩვენებელია“, – ამბობს მოვსუმოვი.

მრავალბინიანი კომპლექსი, რომელსაც ფაშაზადეები ფირმის მეშვეობით ფლობენ, კარლოვი ვარის ცენტრს გორაკებიდან გადმოჰყურებს და რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სასტუმროს, „იმპერიალის“ გვერდით მდებარეობს. XX საუკუნის დასაწყისში აშენებულ ამ სასტუმროს ისეთი ცნობილი პირებისათვის უმასპინძლია, როგორებიცაა რუსეთის იმპერატორი პავლე I, კომპოზიტორი რიხარდ შტრაუსი, ინდოელი მაჰარაჯები და ჰოლივუდის ვარსკვლავები. კომპლექსის გარშემო მოზაიკური ქვაფენილით მოკირწყლული ვიწრო ქუჩები და ძველი სახლებია.

კარლოვი ვარის ისტორიული ცენტრის შუაგულში თანამედროვე საბინაო კომპლექსის მშენებლობაზე ნებართვის გაცემა და მისი აშენება სადავო საკითხი იყო. თანამედროვე არქიტექტურა მის გარშემო არსებულ უნიკალურ და კოლორიტულ ნაგებობებს ვერ ეხამება.

ადგილობრივი ჟურნალისტი იაროსლავ დოლინა, რომელიც ამ საკითხზე გაზეთ „კარლოვარსკი დენიკში“ წერდა, ამბობს, რომ თავდაპირველი გეგმით ნაგებობა ერთი სართულით უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის შიშით უფრო დაბალი ააშენეს. კომპლექსი ამჟამადაც ნაწილობრივ ცარიელია, გარეთ კი ძვირადღირებული ბინების სარეკლამო განცხადებებია გაკრული. კარებზე მითითებული გვარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მობინადრეთა უმრავლესობა რუსი უნდა იყოს.

პარლამენტის სხვა წევრები ბიზნესში

ჩეხეთის რესპუბლიკაში ბიზნესი აქვს აზერბაიჯანის პარლამენტის კიდევ ერთ წევრს, ადილ ალიევსა და მის ძმას ალაჰვერდი ალიევს. ადილ ალიევს წილები აქვს კომპანიაში West End Centre, რომელიც, თავის მხრივ, კარლოვი ვარის დასავლეთ გარეუბანში მიწებს ფლობს. ალაჰვერდი ალიევის ოჯახმა 2003 წელს დააარსა კომპანია სახელწოდებით RAN Ltd, რომელიც კარლოვი ვარიში იმავე მისამართზეა დარეგისტრირებული, სადაც TERMA TRAVEL GROUP-ის ორი კომპანია.

აზერბაიჯანში ძმებმა კარიერა პოლიციაში გაიკეთეს. მათ მფარველობდა მესამე და უფროსი ძმა, ბაქოს პოლიციის ხელმძღვანელი მაჰარამ ალიევი, რომელიც ამჟამად ტაჯიკეთში აზერბაიჯანის ელჩია. ადილ ალიევმა, რომელიც კიკბოქსინგისა და ტაილანდური კრივის ფედერაციის პრეზიდენტიცაა, 2005 წელს რაიონის პოლიციის უფროსის თანამდებობა დატოვა და პარლამენტის წევრი გახდა.

წარსულში ალაჰვერდი ალიევიც შინაგან საქმეთა სამინისტროს საშუალო დონის მუშაკი იყო. ბიზნესებსა და RAN Ltd-ს მასთან ერთად მისი მეუღლე თამარა და ვაჟი რუსლან ალიევი ფლობენ. რუსლანმა აზერბაიჯანული პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ის სადაზღვევო ჯგუფ „ათეშგაჰის“ დირექტორია, ჯგუფის მფლობელი კი აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიაა. ადილ ალიევი არ უარყოფს, რომ ბიზნესები აქვს.

„ამაზე ვერაფერს ვიტყვი. ჩეხეთში უამრავი ნათესავი მყავს, მათ კი იქ ბევრი ბიზნესი აქვთ. ეს საიდუმლო სულაც არ არის“.

მისი თქმით, იცის, რომ პარლამენტის წევრს კანონით ბიზნესში საქმიანობა ეკრძალება, თუმცა რაიმე დამატებითი კომენტარების გაკეთება არ სურს.

RAN Ltd-ის ეკუთვნის ასევე სახლი ქალაქ ხების ცენტრში. ეს ქალაქი კარლოვი ვარიდან 43 კილომეტრითაა დაშორებული და თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ხან ჩეხური და ხანაც გერმანული ქალაქი იყო. კომპანიას წილები დოუბის საბინაო კომპლექსშიც აქვს.

Radio Commersant
marketing@commersant.ge
+995 32 2505 955

ბიზნესის პერსონალური რადიო
Commersant.ge

იდრაქ აბასოვის საქმე

აზერბაიჯანში თავისუფალ სიტყვაზე ზეწოლა და ჟურნალისტების დევნა გრძელდება.

სეიმურ ქაზიმოვი, თავისუფალი ჟურნალისტი

9 სექტემბერს შეიარაღებული ადამიანების ჯგუფი „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის“ ჟურნალისტს, იდრაქ აბასოვს შინ მიუვარდა. აბასოვი, არაერთი პროფესიული ჯილდოს მფლობელი ჟურნალისტი, ამ ფაქტს საკუთარ პროფესიულ მოღვაწეობას უკავშირებს.

ამ თავდასხმის შემდეგ იდრაქის ოჯახის რამდენიმე წევრის, მათ შორის, მისი მშობლების ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო.

იდრაქ აბასოვი „რეპორტიორების თავისუფლებისა და უსაფრთხოების ინსტიტუტის“ ერთ-ერთი დამაარსებელია და ადგილობრივ გაზეთ „ზერკალოსთანაც“ თანამშრომლობს.

აბასოვის ნაამბობის თანახმად, შავ ფორმებში გამოწყობილი შეიარაღებული პირები მისი სახლის ეზოში შეიჭრნენ და მშობლები და ოჯახის სხვა რამდენიმე წევრი ცემეს. ამავე დროს, აბასოვების სახლს ბულდოზერი მოადგა და გალავნის ნგრევა დაიწყო. იდრაქ აბასოვის დიაბეტით დაავადებული მამა ბაქოს კლინიკურ საავადმყოფოში წევს, დედამისი ნიამა და ძმა ადალათი – ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში, ორივეს თავის არეში აქვს მიყენებული დაზიანებები.

აბასოვის ორ ძმას, ვაგიფს და რამანს, საავადმყოფოს დაცვამ იმ ექიმის შეურაცხყოფაში დასდო ბრალი, რომელიც მათ მშობლებს მკურნალობდა. აბასოვი ამბობს, რომ ექიმი პაციენტებს სათანადო ყურადღებას არ აქცევდა. დერეფნის ვიდეოჩანაწერი კი უჩვენებს, რომ კონფლიქტი თვით დაცვის პირებმა წამოიწყეს, რომლებმაც შემდეგ პოლიციას გამოუძახეს და აბასოვის ძმები დააპატიმრებინეს. საავადმყოფოს ხელმძღვანელობა აბასოვის ბრალდების კომენტირებას თავს არიდებს.

იდრაქ აბასოვის თქმით, თავასხმამდე მას არავინ დამუქრებია, ინციდენტს არც რამე სახის გაფრთხილება უძღვოდა წინ. მუშებმა, რომლებმაც მისი გალავნის ნგრევა დაიწყეს, აბასოვს უთხრეს, რომ მისი სახლი ნავთობკომპანია „სოკარის“ კუთვნილ მიწაზე დგას და ამიტომ აუცილებლად უნდა დაინგრეს.

„თუ ეს ასეა, – ამბობს აბასოვი, – მაშინ რატომ იდგა სახლი 25 წლის განმავლობაში ხელუხლებლად? დიახ, ჩვენ არ გაგვაჩნია დოკუმენტები, რომლებიც ჩვენს საკუთრებას ადასტურებს, მაგრამ ოჯახის წინასწარ გაფრთხილება მაინც ხომ შეეძლოთ“. მისივე განმარტებით, აბასოვების სხვა მეზობლებს მსგავსი „ვიზიტით“ არავინ სწვევია.

აბასოვი ამბობს, რომ ამ ინციდენტის მომდევნო დღიდან მის მანქანას მდევარი დაჰყვება და გადაადგილებას თვალს ადევნებს, სამი დღის შემდეგ კი იგი პოლიციაში დაიბარეს და უთხრეს, რომ მისი დაკავებული ძმების მიმართ საავადმყოფოს დაცვისაგან პოლიციაში განაცხადი შევიდა. როცა „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი“ პოლიციას დაუკავშირდა, მათ საჩივრის შემტანი პირი ვერ დაასახელეს. საჩივარში მოხსენიებული ექიმი, რომელიც თითქოს ადასტურებს, რომ აბასოვის ძმები აგრესიულად იქცეოდნენ, ინსტიტუტის წარმომადგენელმა საავადმყოფოში მომუშავე ექიმების ჩამონათვალში ვერც კი იპოვა.

აბასოვის ოჯახზე თავდასხმას საბაბად მათი კუთვნილი მიწის სადავოობა გასდევს, რომელზეც პრეტენზიას ნავთობკომპანია „სოკარი“ აცხადებს. მეჰმან ალიევი, სააგენტო „თურან ნიუზის“ დირექტორი და ნავთობის ინდუსტრიის ექსპერტი ამბობს, რომ ბინეგადის რაიონი, რომელშიც აბასოვის სოფელი მდებარეობს, ნავთობრეზერვების სანაპირო ზოლს ემეზობლება, ეს ტერიტორია „სოკარისა“ და „გლობალ ენერჯი აზერ-

ბაიჯანის“ კომპანიებს შორის დადებული კონტრაქტის სუბიექტია. მისი თქმით, დაბლობის სრულ ათვისებას მასზე უნებართვოდ აშენებული სახლები უშლის ხელს. „სოკარმა“ უკვე 2000-ზე მეტი საქმე მოუგო ამ დასახლების მკვიდრთ სასამართლოში, მაგრამ აბასოვების სახლს ეს დავები არ შეხებია.

„არ მესმის, რა უფლებით ანგრევენ ჩემს სახლს, – ამბობს აბასოვი, – ერთადერთ ახსნად ამას ჩემი პროფესიული საქმიანობა შემიძლია მოვუძებნო“.

სოფელ სულუტეპეში მომხდარი ფაქტიდან 15-20 დღის შემდეგ იდრაქ აბასოვს მხედველობის მძიმე პრობლემა გამოუაშკარავდა. ცემის დროს მას ნეკნები, ნაღვლის ბუშტი და თირკმლებიც დაუზიანდა, მაგრამ ახლა, მხედველობის გადასარჩენად, პირველ რიგში, თვალის გადაუდებელი ოპერაცია სჭირდება. ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ მას სამკურნალო თანხა გამოუყო.

აბასოვი ამბობს, რომ ნავთობკომპანიამ მას საქმის „ჩასაფარცხად“ „შუამავლები“ გაუგზავნა. ერთ-ერთი შუამავალი თვით კომპანიის თანამშრომელია, დანარჩენები – მისივე თქმით, „საზოგადოებაში მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირები“, მაგრამ ჟურნალისტი სამართლის ენით ამჯობინებს ვიზავისთან საუბარს და ამგვარ შემოთავაზებაზე უარს ამბობს, თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაწყებული გამოძიება, რომელიც აბასოვების ოჯახზე მომხდარ თავდასხმას იკვლევს, წინ არა და არ მიწევს.

„მედიის უფლებათა დაცვის ინსტიტუტის“ მიერ მომზადებულ, ნახევარი წლის შემაჯამებელ ანგარიშში ნათქვამია, რომ 2011 წლის შემდეგ აზერბაიჯანში 11 ჟურნალისტია დაპატიმრებული. მათ მიმართ წაყენებული ბრალდებები სამშობლოს ღალატს, ხულიგნობას, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, რამდენიმე კი ნარკოტიკების მოხმარებას უკავშირდება. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ბახტიარ ჰაჯიევი, ცნობილი აზერბაიჯანელი ბლოგერი, სწორედ ამავე პერიოდში გათავისუფლდა პატიმრობიდან.

2012 წლის პირველ ნახევარში მასმედიის წარმომადგენელთა მიმართ სხვადასხვა ბრალდებით 17 საქმეა აღძრული, ყველა მათგანი ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ გამოცემებთან თანამშრომლობს.

უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში სულ მცირე 35 ჟურნალისტი გახდა ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზემოქმედების და მუქარის მსხვერპლი. ამათგან 45 შემთხვევაში, ჟურნალისტები იმ დროს იყვნენ ნაცემნი, როცა საპროტესტო დემონსტრაციებს ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენებს აშუქებდნენ. რამდენიმე შემთხვევაში მსგავსი ფაქტების გამო გამოძიება დაიწყო, მაგრამ უმეტესად ჟურნალისტებს ემუქრებიან და სთხოვენ, რომ საქმე სასამართლომდე არ მიიყვანონ.

აზერბაიჯანში სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონები იცვლება. პარლამენტმა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კანონში შეიტანა შესწორებები. ახალდამატებული 2.4.-1 პარაგრაფის თანახმად, ინფორმაციაზე წვდომა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება შესაძლებელი, თუ მისი გასაჯაროება აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნულ ინტერესებს არ ეწინააღმდეგება – პოლიტიკის, ეკონომიკის, სამხედრო, საფინანსო-საკრედიტო, სავალუტო, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, ადამიანების ეკონომიკური და სხვა ინტერესების დაცვის სფეროებში, არ ლახავს სასამრთლო ხელისუფლების რეპუტაციას, არ წარმოშობს დაეჭვებას მიუკერძოებლობის მიმართ, რაც აზერბაიჯენელ ჩინოვნიკებს უფლებას აძლევს, ნებისმიერი სახის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე თქვან უარი.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

სტატია მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

გადაცემა
ლიბერალი

ცხელი
შოკოლადი
98.5 FM

ყოველ სამუშაო დღეს
საღამოს 7 საათზე
რადიო „ცხელი შოკოლადის“
ეთერში

www.facebook.com/TalkShowLiberali

ბიოიბი მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საქართველომ კიდევ ერთი საქმე წააგო. 3 თვის ვადაში სახელმწიფოს ყოფილი პატიმრის, გიორგი მიქიაშვილისთვის 12 000 ევროს გადახდა მოუწევს.

ზურაბ ვარდიაშვილი

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, 2005 წლის 29 ოქტომბრის საღამოს, ახალგაზრდა ფეხბურთელი გიორგი მიქიაშვილი მეგობრებთან ერთად რესტორნიდან გამოვიდა. მიქიაშვილი მანქანაში ჩაჯდა და უკან დარჩენილ მეგობრებს დაელოდა, მათ თან მეუღლეები ახლდნენ.

ბიჭებს ხელში ტელეფონები ეჭირათ, ერთ-ერთმა საპატრულო ეკიპაჟმა, რომელმაც მეგობრებს ჩაუარა, მიიჩნია, რომ ეს ტელეფონები მოპარული იყო. მანქანა გააჩერეს და საქმის გარკვევა სცადეს, პატრულსა და ბიჭებს შორის საუბარი კონფლიქტში გადაიზარდა. გიორგი მიქიაშვილი მანქანიდან გადმოვიდა და მეგობრებს გამოესარჩლა. საპატრულო ეკიპაჟმა დამატებითი ძალები გამოიძახა. მიქიაშვილი ადგილზე ცემეს და დააკავეს. რამდენიმე დღეში ორთაჭალის ძველ, მეხუთე საპყრობლეში გადაიყვანეს. ეს საპყრობილე მოგვიანებით გაუქმდა და დაანგრიეს.

ფსიქორეაბილიტაციის ცენტრი „ემპათია“ იმ პერიოდში პენიტენციურ სისტემაში სპეციალურ პროგრამას ახორციელებდა, რაც კრიზისულ ინტერვენციას გულისხმობდა. „ემპათიას“ სხვადასხვა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში რეაბილიტაციის ცენტრები ჰქონდა გახსნილი.

„გიორგი მიქიაშვილს ციხეში გადმოყვანიდან დაახლოებით ერთი კვირის ფარგლებში ჩვენმა სპეციალის-

ტებმა კონსულტაცია ჩაუტარეს“, – ამბობს „ემპათიის“ ხელმძღვანელი მარიამ ჯიშკარიანი „ლიბერალთან“ საუბრისას. მისი თქმით, გიორგის ციხეში რეაქტიული ფსიქოზი განუვითარდა. ის ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს. „ემპათიის“ სპეციალისტებმა და სუბკონტრაქტორი დამოუკიდებელი სასამართლო მედიცინის ცენტრმა „ვექტორმა“ ექსპერტიზა ჩაუტარეს. მონაწილეობდა როგორც ნევროლოგი, ასევე ფსიქიატრი, ტრავმატოლოგი და ა. შ. დაიწერა დასკვნა. მას ციხის საავადმყოფოში „ემპათიის“კონსულტაციის ქვეშ მკურნალობა უტარდებოდა. „ბოლოს სასამართლო ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე გადაიყვანეს, რომლის დასკვნა ფრიად არაადეკვატური გახლდათ“, – ამბობს ჯიშკარიანი.

მიქიაშვილი პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით გაასამართლეს და წელიწადნახევარი მიუსაჯეს.

სტამბულის პროტოკოლი გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების კრებულია, რომელიც წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური მოპყრობის ეფექტიანი გამოძიების ხელშესაწყობად შეიმუშავეს. ეს ერთგვარი გაიდლაინია, რომელიც გაეროს წევრ ქვეყნებს სასამართლო სამედიცინო შემოწმებისა და ეფექტიანი გამოძიების, სრულფასოვნად და კომპლექსურად ჩატარების რეკომენდაციას აძლევს.

დაკავების დღიდან პატიმარს ადვოკატი, ახლა უკვე ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი ზაზა ხატიაშვილი იცავდა. მისი თქმით, „მიქიაშვილის ცემა და წამება არაერთი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა“. ადვოკატი ამბობს, რომ მიქიაშვილს პოლიციელისთვის ხელის შებრუნების გამო აწამებდნენ.

როგორც მარიამ ჯიშკარიანი ამბობს, მათ კომპლექსური დასკვნა სტამბულის პროტოკოლის მიხედვით მოამზადეს. ეს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ მდგომარეობას შეეხებოდა და არაადამიანურ მოპყრობასა და დაზიანებებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს ადგენდა.

სტამბოლის პროტოკოლი გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების კრებულია, რომელიც წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური მოპყრობის ეფექტიანი გამოძიების ხელშესაწყობად შეიმუშავეს. ეს ერთგვარი გაიდლაინია, რომელიც გაეროს წევრ ქვეყნებს სასამართლო სამედიცინო შემოწმებისა და ეფექტიანი გამოძიების, სრულფასოვნად და კომპლექსურად ჩატარების რეკომენდაციას აძლევს.

თავდაპირველად მიქიაშვილი ხელს ციხის საავადმყოფოს დირექტორის მოადგილეს გოგა ბუთლიაშვილს ადებდა, თუმცა მოგვიანებით განაცხადა, რომ მას ვინმეს ამოცნობა არ შეეძლო. ჯიშკარიანის მტკიცებით, ეს განცხადება მიქიაშვილმა პროკურორების ზეწოლით დაწერა.

მიქიაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა, მას სტრესზე ფსიქოზური რეგისტრის რეაქცია განუვითარდა, რაც ბოდვებსა თუ ჰალუცინაციებში გამოიხატებოდა.

„როდესაც ადამიანი კრიმინალია, ის ერთგვარად შემზადებულია იმისთვის, რომ ერთხელაც ციხეში მოხვდება, მაგრამ როდესაც 21 წლის ფეხბურთელი ბიჭი, უმაღლესი განათლებით, რომელსაც კრიმინალთან შეხება არასოდეს ჰქონია, ასეთი მძიმე ფიზიკური ტრავმებით ძველ, მეხუთე საპყრობილეში მოხვდა, გასაკვირი არაა, რომ ფსიქიკა შეერყა“, – ამბობს „ემპათიის“ ხელმძღვანელი, მისი თქმით, საპყრობილის საყოფაცხოვრებო პირობები თავისთავად უკვე არაადამიანურ მოპყრობას უტოლდებოდა.

გიორგი მიქიაშვილი ხონში ფსიქიატრიულ განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც პატიმრობის ვადა მკურნალობის ქვეშ დაასრულა.

მიქიაშვილი ახლა თავს კარგად გრძნობს, ციხიდან გამოსვლის შემდეგ დაქორწინდა, შვილი შეეძინა, მუშაობა დაიწყო, თუმცა ფეხბურთელის კარიერა ვეღარ განაგრძო.

სასამართლო დავა გრძელდებოდა – როდესაც ადგილობრივი ინსტანციები ამოიწურა, ხატიაშვილმა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიმართა. სასამართლომ გადაწყვეტილება რამდენიმე დღის წინ, 9 ოქტომბერს გამოიტანა.

სასამართლომ მოსარჩელის პოზიცია რამდენიმე ნაწილში გაიზიარა. დადგინდა, რომ გიორგი მიქიაშვილს პოლიციაში არასათანადოდ მოექცნენ, სასამართლომ იმსჯელა და ასევე დაადგინა, რომ ადგილობრივ ინსტანციებში გამოძიება არასწორად შეწყდა.

გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს კომპენსაციის გადახდა დაევალა, ხატიაშვილი ფიქრობს, რომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილება ადგილზე გამოძიების დაწყების საფუძველია. „რადგან დადგენილია, რომ მიქიაშვილი სცემეს, და მის მიმართ გამოძიება არასწორად აწარმოეს, ეს იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე პოლიციელი და პროკურორი საბრალდებო სკამზე დაჯდება“.

ევროსასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება კონვენციაზე ხელმომწერი სახელმწიფოებისთვის სავალდებულოა, აღსრულებაზე ზედამხედველობას ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი ახორციელებს.

ინტერვიუ

ინა გუდავაძე: "იმედი" პირვის უნდა ემსახუროს

ინტერვიუ ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელთან, ინა გუდავაძესთან.

ანი ჭანკოტაძე



თავად ის ფაქტი, რომ ხელისუფლებამ დაგიბრუნათ „იმედი“ ნიშნავს იმას, რომ მათ ის უსამართლოდ ჰქონდათ მიღებული. იქნებ, გაიხსენოთ, რა ხდებოდა მაშინ, როცა თქვენ დაკარგეთ „იმედზე“ კონტროლი და რატომ მოგიწიათ ტელევიზიის დათმობა?

2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ რაც მოხდა, ყველამ იცის. ჩვენ თავიდანვე შევეცადეთ დაგვებრუნებინა „იმედი“, მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ იურიდიულად ძალიან არასწორად იყო გაფორმებული ჰოლდინგი, არა ბადრიზე, არამედ, სხვა პირებზე. როცა ჩვენ დასავლეთში მივმართეთ იურისტებს და ვკითხეთ, რა გზით წავსულიყავით, გრძელი კონსულტაციების შემდეგ გადავწყვიტეთ, საერთაშორისო არბიტრაჟისთვის მიგვემართა. პრობლემა ის იყო, რომ თუნდაც მოგვეგო არბიტრაჟი, შედეგი ის იქნებოდა, რომ ფულს დაგვიბრუნებდნენ და არა – „იმედს“. ეს მძიმე გადაწყვეტილება იყო.

არბიტრაჟი რომ მოგვეგო, დაგვიბრუნებდნენ ფულს, სადღაც ათეულობით მილიონს. ეს, ცხადია, პატარა თანხა არ იყო. ჩვენ უკვე მზად ვიყავით არბიტრაჟისთვის, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები დაგვიკავშირდნენ და გვითხრეს, შერიგება ხომ არ გინდათო.

ჩვენ ძალიან დიდხანს ვფიქრობდით, როგორ მოვქცეულიყავით. ვთქვათ, მოგვეგო არბიტრაჟით ეს ფული? როგორ აგვეხსნა ეს ხალხისთვის? რომ ფული მოვიგეთ და თქვენი ჯიბიდან ვიღებთ? ფაქტობრივად, არც „იმედს“ ვიბრუნებდით და თან მათი ფული უნდა აგვეღო. ძალიან რთული არჩევანის წინაშე ვიდექით. ვიფიქრეთ, რომ არ ღირდა. მე არ შემიძლია იმაზე ლაპარაკი, რაზეც მაშინ შევთანხმდით, სიტყვა მივეცი და ხელი მოვაწერე, რომ ეს არ გასაჯაროვდებოდა. ეს კონფიდენციალური შეთანხმება იყო და ამას ახლაც ვერ დავარღვევ. ეს შეთანხმების პირობა იყო, რომელიც 2011 წლის გაზაფხულზე შედგა. ჩვენ დაგვიბრუნეს მთაწმინდის პარკი და რუსთავის ქარხანა, რომელზეც გვქონდა საარბიტრაჟო დავა.

ახლა როგორ მოხდა შეთანხმება? რა პირობებით დაგიბრუნეს ტელე და რადიო „იმედი“?

დაგვირეკეს და შემოგვთავაზეს „იმედის“ დაბრუნება. ეს ძალიან მოულოდნელად მოხდა და ჩვენთვისაც ძალიან ემოციური იყო. ერთადერთი პირობა ის იყო, რომ პროცესი მშვიდობიანი ყოფილიყო და ექსცესების გარეშე მომხდარიყო გადაბარება. აღარც ჩვენ გვინდოდა ისევ თავიდან დაგვეწყო კიდევ ერთი სასამართლო და დავა. „იმედი“ ჰოლდინგი მთლიანად ჩვენი მმართველობის ქვეშ იქნება. წყნარად, ცივილურად შევხვდით და დავილაპარაკეთ.

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

ახლა იქ ჩვენი იურისტები იმყოფებიან და წყვეტენ, როგორ უნდა გაფორმდეს ეს პროცესი.

რით ხსნით იმას, რომ ასე მოულოდნელად და ყოველგვარი პირობის გარეშე დაგიბრუნეს „იმედი“?

არ ვიცი, ისედაც ბევრი რამე ხდება ახლა ქვეყანაში, ბევრი პრობლემაა, ძალიან დიდი ცვლილებებია. 5 წლის

დაგვირეკეს და შემოგვთავაზეს „იმედის“ დაბრუნება. ეს ძალიან მოულოდნელად მოხდა.

ერთადერთი პირობა ის იყო, რომ პროცესი მშვიდობიანი ყოფილიყო და ექსცესების გარეშე მომხდარიყო გადაბარება.

წინ, რაც მოხდა, ნამდვილად უსამართლობა იყო. მაგრამ ახლა ამაზე დავა აღარ გვინდა და აღარც ვაპირებთ. რადგან გვიბრუნებენ, ჩვენც მშვიდად მივიღებთ ამას. მე მგონი, სწორი არჩევანი გავაკეთეთ. საერთოდ აღარ მინდა გავიგონო გვარები ჯოზეფ ქეი, ზელცერი და სხვები, მინდა ეს ადამიანები სამუდამოდ გაქრნენ ჩვენი ცხოვრებიდან.

„იმედის“ ფინანსური დავალიანება თუ გადმოვიდა თქვენზე?

როგორც ჩვენ შეგვპირდნენ, ჰოლდინგს დავალიანება არ ექნება. თუმცა, ეს მაინც უნდა შევისწავლოთ. ჩვენი იურისტები ფინანსურ დოკუმენტაციას უკვე გულდასმით სწავლობენ.

არხის ძველი ადმინისტრაცია მთლიანად გავიდა კომპანიიდან?

დიახ, უკვე სულ ჩვენ ვართ.

თქვენ აპირებთ უშუალოდ მართოთ ტელევიზია?

არა, ეს ზედმეტი თვითდაჯერება და არაპროფესიონალიზმი იქნებოდა. მე არ ვარ მედიის პროფესიონალი. ეს უნდა ვანდოთ და გადავაბაროთ სპეციალისტს, წესიერ კაცს. დროებით, სავარაუდოდ, ჩემი უფროსი ქალიშვილი, ლიკა იქნება ჰოლდინგის ხელმძღვანელი. მისი მოადგილე კი – რეზო საყევარიშვილი. ის უკვე შევიდა ტელევიზიაში და სიტუაციას ეცნობა. ამ ადამიანს ბევრმა გაუწია რეკომენდაცია, რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტი განვიხილეთ და მოგვეჩვენა, რომ მისი კანდიდატურა სჯობდა, თანაც, ის „იმედის“ ყოფილი თანამშრომელია, სერიოზული ეკონომიკური განათლება აქვს, ძალიან დაბალანსებული ადამიანია, თავისი აზრით, შეხედულებებითა და პრინციპებით, ამასთან, არაპოლიტიკურია. მგონი ეს არჩევანი ძალიან მნიშვნელოვანია და აჩვენებს, სად მივდივართ. საკადრო ცვლილებები, რა თქმა უნდა, იქნება, თუმცა, ჯერ არაფერია გადაწყვეტილი.

უკვე დაიწყეს ლაპარაკი, რომ ჩვენს უკან ვიღაც დგას, თუმცა ვერანაირ ინსინუაციებს ვერ მივიღებთ.

მართალია, რომ იმედი მთლიანად გასართობ-შემეცნებითი არხი გახდება და საინფორმაციო გამოშვებები აღარ აღდგება?

არა, ჩვენ მხოლოდ დროებით შეწყვიტეთ საინფორმაციო მაუწყებლობა, რადგან არ შეიძლებოდა ძველი სიტუაციის გაგრძელება. სანამ თავიდან ბოლომდე პროცესს არ გავაკონტროლებთ, გვერჩივნა საინფორმაციო შეგვეჩერებინა.

რა ელოდება ახლანდელ კადრებს?

მე არც კი მეგონა, თუ თანამშრომლები ასეთი აღფრთოვანებით შეგვხვდებოდნენ. არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა, როგორ მოვქცეულიყავი, ძალიან ემოციური იყო, არც კი მახსოვს, რას ვამბობდი. ახლა ყველაზე რთული ეტაპია, რომ ამდენი იმედი გავამართლოთ და სწორად მოვიქცეთ.

თუ ვინმე გრძნობს, რომ რაღაცაში

ვფიქრობთ, რომ აუცილებლად უნდა შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო. ამ იდეის რეალიზაცია გვინდა. ამ საბჭოს დაკომპლექტება კი ისეთი ადამიანებით უნდა მოხდეს, რომ საზოგადოებამ დაინახოს, რა მიმართულებით მივდივართ, დაინახოს მათთვის სანდო ადამიანები. საბჭო რომ მოქმედი და ეფექტური იყოს, ის არ უნდა იყოს ძალიან დიდი, შეიძლება ერთი წევრი უცხოელიც იყოს. მთავარია, რომ კრიტერიუმები საკმაოდ მაღალი იქნება.

დამნაშავეა, სჯობს თვითონ წავიდეს, დანარჩენს ჩვენ განვიხილავთ, გვაქვს ფაქტები და გვეცოდინება ხალხის აზრიც. უბრალოდ ამას არ ექნება ისეთი სახე, რომ ყველა გავათავისუფლოთ, რა შუაში არიან ადამიანები, რომლებიც წესიერად მუშაობდნენ? ყველამ საკუთარ თავს უნდა ჰკითხოს, ღირსი ვარ თუ არა, რომ ამ არხზე დავრჩე? თუ თვითონ ვერ მიხვდება, რომ წასვლა სჯობს და ჩვენ რადიკალურად განსხვავებული აზრის ვიქნებით, მაშინ ალბათ გავათავისუფლებთ.

რა გეგმები გაქვთ ჰოლდინგთან დაკავშირებით?

ტელევიზია ობიექტური და დაბალანსებული უნდა იყოს. ის არავის არ უნდა ემსახუროს. ვიტყოდი, რომ ტელევიზიის სარკე დაგრეხილი არ უნდა იყოს. თუკი რამე არასწორად წავა, ჩვენ უნდა ვაგოთ პასუხი. ცოტა არ იყოს, მეშინია, როგორ მოვერევით ყველაფერს. ჩვენთვის ცოტა რთულია, რადგან მუდმივად აქ არ ვცხოვრობთ და აქაურ რეალობას და სიტუაციას იმდენად ვერ ვფლობთ, თუმცა, ახლა უფრო ყურადღებით ვიქნებით და ჩავერთვებით მიმდინარე პროცესებშიც.

ვფიქრობთ, რომ აუცილებლად უნდა შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო. ამ იდეის რეალიზაცია გვინდა. ამ საბჭოს დაკომპლექტება კი ისეთი ადამიანებით უნდა მოხდეს, რომ საზოგადოებამ დაინახოს, რა მიმართულებით მივდივართ, დაინახოს მათთვის სანდო ადამიანები. არ ვიცი, ამის განხორციელება ზუსტად როდის დაიწყება, მაგრამ მგონია, რომ ეს ძალიან არ უნდა გადაიდოს. როგორც კი მოგვარდება ფინანსების და კადრების საკითხი, ამასაც შევუდგებით. საბჭო რომ მოქმედი და ეფექტური იყოს, ის არ უნდა იყოს ძალიან დიდი, შეიძლება ერთი წევრი უცხოელიც იყოს. მთავარია, რომ კრიტერიუმები საკმაოდ მაღალი იქნება. ასევე სიფრთხილით ვაპირებთ შევარჩიოთ, საინფორმაციოს ვინ ჩაუდგება სათავეში. ესეც ჯერ კიდევ გადასაწყვეტია და მნიშვნელოვანია, რომ სწორი არჩევანი გავაკეთოთ.

გვესმის, რომ „იმედი“ ეს იქნება პროექტი, რომელშიც ფულის ჩადებაა საწირო. მე ამას განვიხილავ, როგორც კიდევ ერთ საქველმოქმედო პროექტს. ბიზნესისთვის მე ეს ტელევიზია ნამდვილად არ მჭირდება, მის გამოყენებას არც ბიზნესისთვის ვაპირებ და არც პოლიტიკური მიზნები მაქვს.

ესაუბრნენ: ეკა მაღალდაძე, შორენა შავერდაშვილი

საგადასახადო "ამნისტია" 2

პოლიტიკური ლეგიტიმაციის ამოწურვამდე რამდენიმე დღით ადრე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა საზოგადოებას „ტელემედიის მხარდამჭერი მთავრობის ინიციატივა“ გააცნო.

გიორგი ჭეიშვილი

2012 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ხეთაგურმა საზოგადოებას ახალი სამთავრობო ინიციატივა გააცნო. ამ ინიციატივის მიხედვით, შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე ქვეყანაში მოქმედ ყველა ტელემაუწყებელს არსებული ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება და მასზე დარიცხული სანქციები შეუმცირდება.

სპეციალურ პრესკონფერენციაზე ალექსანდრე ხეთაგურმა აღნიშნა, რომ ამ გზით, როგორც ცენტრალური, ასევე რეგიონალური

ტელეკომპანიებისათვის ფინანსური ვალდებულებების შემსუბუქება და მათი თანაბარ პირობებში ჩაყენება მაუწყებლების სტაბილური ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფას, სატელევიზიო ბაზრის განვითარებას, კონკურენციის გაზრდასა და ახალი ინვესტიციების მოძიებას შეუწყობს ხელს.

„ფინანსთა სამინისტრო პროცესის გამჭვირვალობისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ღიად მიმართავს ყველა მაუწყებელს საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაში, წერილობით მიმართონ ფინანსთა სამინისტროს, რათა დროულად მოხდეს შესაბამისი პროცედურების განხორციელება და მათთან ერთად სამუშაოვითარებაში დაიწყოს საგადასახადო დავალიანების შემცირებაზე მსჯელობა“ – აღნიშნულია განცხადებაში.

„ტელემედიის მხარდაჭერის მთავრობის ახალ ინიციატივამდე“ რამდენიმე თვით ადრე – 17 ივლისს, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე დავალიანების მქონე კომპანიების, მათ შორის, ტელევიზიების სია გამოქვეყნდა.

იმ დროისათვის „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანება 3 538 741,59 ლარს შეადგენდა, „რუსთავი 2“-ის – 5 496 090, 39 ლარს, „იმედის“ ვალი კი 1 390 250, 86 ლარი იყო.

ეს დავალიანებები მას შემდეგ წარმოიშვა, რაც 2010 წლის აპრილში, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებებით, ტელევიზიებისათვის 36 მილიონ ლარიანი საგადასახადო ამნისტია გამოცხადდა. განცხადება ამნისტიის შესახებ პრეზიდენტმა, საპარლამენტო გამოსვლის დროს გააკეთა. თავიდან ეს ინიციატივა მხოლოდ რეგიონულ მაუწყებლებს ეხებოდა, თუმცა, ერთი კვირის ვადაში, კანონში შესული ცვლილებებით, ნაციონალურ მაუწყებლებზეც გავრცელდა.

36 მილიონი ლარიდან რეგიონული მაუწყებლების დავალიანება ჯამში 2 მილიონს არ აღემატებოდა. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დავალიანება კი 10 მილიონ ლარამდე იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ კერძო ტელეკომპანიებს, „რუსთავი 2“-სა და „იმედს“ ჯამში, სავარაუდოდ, 24 მილიონ ლარამდე საგადასახადო დავალიანება ჩამოეწერათ.

2012 წლის 15 ოქტომბერს სატელევიზიო არხებისათვის გამოცხადებულ ახალ საგადასახადო ამნისტიას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ გამოეხმაურა.

არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამნისტიის შედეგად ყველაზე მეტად ორი ეროვნული ტელეარხი ისარგებლებს, რადგან შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ივლისში გამოქვეყნებული ინფორმაციით, ტელეკომპანია „იმედს“ გადასახადების სახით – 13.9 მილიონი ლარი, ხოლო „რუსთავი 2“-ს 5.5 მილიონი ლარი დავალიანება ჰქონდათ, ხოლო სხვა ტელეკომპანიების საგადასახადო დავალიანება უცნობია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიაჩნია, რომ საგადასახადო ამნისტია არასამართლიან კონკურენტულ გარემოს ქმნის და იმ ტელევიზიებს, რომლებსაც პოლიტიკური მხარდაჭერა აქვთ, უპირატეს მდგომარეობაში აყენებს.

„მაუწყებლებს შეუძლიათ გადასახადების გადახდას თავი აარიდონ, ვინაიდან მათ ეს დავალიანება მაინც „ეპატიებათ“, მაშინ როდესაც სხვა ტელევიზიები კეთილსინდისიერად იხდიან ყველა გადასახადს. „რუსთავი 2“-ს, „იმედს“ და სხვა რამდენიმე ტელეკომპანიას „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაახლოებული პირები ფლობენ. მფლობელების ბოლოდროინდელმა გადაადგილებამ ცხადყო, რომ საქართველოში სატელევიზიო სივრცე ისევ პოლიტიკურად პოლარიზებული რჩება. რამდენიმე ტელეარხს მომავალი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ოჯახის წევრებიც ფლობენ და არაა გამორიცხული საგადასახადო ამნისტიით ამ ტელეარხებმაც ისარგებლონ“, – აღნიშნულია არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადებაში.

„ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ საბჭოს თავმჯდომარის – ზვიად ქორიძის თქმით, ალექსანდრე ხეთაგურის მიერ ჩამოთვლილი არგუმენტები, პრინციპულად ეწინააღმდეგება ტელეკომპანიებისათვის ვალების ჩამოწერის საკითხს. ასევე, ძალიან ცუდია, როდესაც ხელისუფლება რეგიონული მედიის განვითარებით სპეკულირებს, რადგან რეგიონული ტელევიზიებისა და ნაციონალური მაუწყებლების გათანაბრება აბსურდია – „კონკურენტული გარემო, რა

36 მილიონი ლარიდან რეგიონული მაუწყებლების დავალიანება ჯამში 2 მილიონს არ აღემატებოდა. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დავალიანება კი 10 მილიონ ლარამდე იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ კერძო ტელეკომპანიებს, „რუსთავი 2“-სა და „იმედს“ ჯამში, სავარაუდოდ, 24 მილიონ ლარამდე საგადასახადო დავალიანება ჩამოეწერათ.

თქმა უნდა, ვერ შეიქმნება – ტელეკომპანიათა გარკვეული ნაწილი უკვე დაზარალდა იმის გამო, რომ გადასახადებს პატიოსნად იხდიდნენ და საბიუჯეტო დავალიანება არ ჰქონდათ, თანხის ძირითადი ნაწილი კი სწორედ ნაციონალურ მაუწყებლებზე იყო აკუმულირებული. ყველაზე დიდი ტყუილი ის არის, რომ ფინანსთა სამინისტროს ინიციატივა ტელევიზიებს ახალი ინვესტიციების მოსაძიებლად გამოადგებათ; არ მგონია რომელიმე ინვესტორი ისეთი ტელეკომპანიით დაინტერესდეს, რომელმაც 2 წელიწადში 14 მილიონიანი დავალიანება დააგროვა, რომლის სანდოობის ხარისხიც ძალიან დაბალია და რომელმაც „მოდელირებული ქრონიკა“ მოამზადა“, – ამბობს ქორიძე.

„ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს“ აღმსარულებელ დირექტორს, თამარ კორძაიას მიაჩნია, რომ ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის განცხადება მედიასაშუალებების თანაბარ პირობებში ჩაყენებას ვერ უზრუნველყოფს, რადგან აბსურდულია თანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის ტელევიზიები, რომელთაც ვალი არ აქვთ და ტელეკომპანია, რომელსაც 14 მილიონ ლარს პატიობენ. „ვინ პატიობდა ამ ვალს კონკრეტულ ტელევიზიებს და რატომ აძლევდნენ მათ ამხელა დავალიანების დაგროვების საშუალებას? ალბათ, ეს საკითხები საგამოძიებო ორგანოებმა უნდა წამოჭრან. ამნისტირება ასე მარტივად არ ხდება – მე როგორც რიგით მოქალაქეს მრჩება განცდა, რომ საერთოდ არ მაქვს ინფორმაცია, თუ რა დგას და რა კეთდება ამ აბსურდული ფრაზების მიღმა. არცერთი ტელეკომპანია თავს ვალდებულად არ თვლის განმარტოს რეალურად რა ხდება, რა ოდენობის ვალს ვპატიობთ თითოეული მოქალაქე. ეს ვალი ზეპირი საუბრის საფუძველზე ვერ იქნება ჩამოწერილი, ამას სამართლებრივი დოკუმენტების გაფორმება უნდა მოჰყვეს. საზოგადოების მაღალი ლეგიტიმური ინტერესიდან გამომდინარე, ეს ინფორმაცია საჯარო უნდა იყოს“, – განმარტა კორძაიამ.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ „ქართული მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის“ ხელმძღვანელის – ნათია კაპანაძის თქმით, ახლაც, ისევე როგორც, 2010 წლის ამნისტიის დროს, ძირითადი კითხვები იმასთან დაკავშირებით ჩნდება, თუ როგორ დააგროვეს ტელევიზიებმა ამხელა ვალი; ასევე, უცნობია, თუ რა თანხებზეა საუბარი – ეს არის ქონების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი თუ რაიმე სხვა ტიპის ვალი.

„ეს პროცესი არ არის ღია, თუმცა ჩვენ გვაქვს საგადასახადო კოდექსი, სადაც ცალსახად არის განმარტება გადასახადების დაფარვის ინტენსივობასა და გადასახადების შესახებ ინფორმაციის წარდგენასთან დაკავშირებით. სხვა საქმეა, თუ ეს ვალები რესტრუქტურიზებული იყო და ცალკე ამბავია, თუ ამ დავალიანების დაგროვებას ყურადღება არ ექცეოდა. აღმოჩნდა, რომ ვალები იმ ტელეკომპანიებს ჰქონდათ, რომლებსაც საზოგადოება ხელისუფლებასთან აკავშირებს. დისკრიმინაციული მიდგომისა და სხვა ტიპის ეჭვების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია პროცესები ღია გახდეს, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ხშირად საგადასახადო საიდუმლოების საკითხით აპელირებს – რიგითმა გადამხდელებმა უნდა იცოდნენ რაში იქნა გადახდილი მისი თანხა“, – აღნიშნა კაპანაძემ.

პარლამენტის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის თინა ხიდაშელის განცხადებით, ქვეყანაში მოქმედებდა კორუფციული სქემა, რომლის მიხედვითაც ხელისუფლება კონკრეტულ კერძო კომპანიას არც ვალს სთხოვდა და არც გადასახადებზე აწუხებდა, რადგან კომპანიის ხელმძღვანელი მათთან დაკავშირებული პირი იყო; როცა ეს ვალი წარმოუდგენლად მაღალ ნიშნულს აღწევდა, მთავრობა ამის ჩამოწერას ახდენდა. თინა ხიდაშელის თქმით, ხელისუფლებას ჰქონდა სარგებელი – ეს ტელევიზიები მისი იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული მანქანის მთავარი იარაღი იყო, ამიტომ ის, რაც „რუსთავი 2“-სა და „იმედთან“ მიმართებაში ერთი მხრივ – სარეკლამო და მეორე მხრივ – საგადასახადო პრივილეგიების მინიჭებით ხდებოდა, პირდაპირი ფორმის ღია კორუფცია იყო – „ტელეკომპანია „იმედის“ საკითხი განსაკუთრებით პრიორიტეტული იყოს; უნდა მოვიკვლიოთ ყველაფერი – საკუთრების უფლების ხელყოფიდან დაწყებული, სარეკლამო ბაზრითა და საგადასახადო სქემების საკითხებით გაგრძელებული. აქ სრულმასშტაბიანი სამართალდარღვევაა წარმოდგენილი; ამ დანაშაულს შევისწავლით და რეაგირებისათვის პროკურატურას გადავუგზავნით“.

ზვიად ქორიძე მიიჩნევს, რომ ვალების ჩამოწერის ფაქტი ახალი ხელისუფლებისთვისაც მაცდური პრეცედენტია, რადგან იმ ტელევიზიების მიმართ, რომლებიც შესაძლოა ახალი ხელისუფლების მაამებლებად მოგვევლინონ, არ არის გამორიცხული იგივე პრაქტიკა – ვალების ჩამოწერის პოლიტიკა იქნას გამოყენებული.

„ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ საბჭოს თავმჯდომარის – ზვიად ქორიძის თქმით, ალექსანდრე ხეთაგურის მიერ ჩამოთვლილი არგუმენტები, პრინციპულად ეწინააღმდეგება ტელეკომპანიებისათვის ვალების ჩამოწერის საკითხს.

თამარ გურჩიანის ეპიჰატესობა

„თამარ გურჩიანი სახალხო დამცველად“ – ამ სახელწოდებით სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ მხარდამჭერი გვერდი რამდენიმე დღის წინ შეიქმნა. გვერდი ამ დროისთვის 1350-ზე მეტ ადამიანს აქვს მოწონებული. ბოლო მონაცემებით, მის კანდიდატურას მხარს 105 ორგანიზაცია უჭერს.

ზურაბ ვარდიაშვილი

– ეს გურჩიანი საიდან გამოჩხრიკეს? რაღაც არ დამევასა დიდად...

– მე თამუნას კანდიდატურას ვემხრობი, ისე როგორც არასამთავრობოების უდიდესი ნაწილი, ვინც იცნობს და იცის გურჩიანის საქმიანობა...

– გურჩიანი არა, – ტოროლა...

– გურჩიანს ვაძლევ ხმას...

– მანდ საჭიროა კაცი, რომელიც ყოველთვის იმას ლაპარაკობს, რაც სიმართლედ მიაჩნია და უკან დამხევი არ არის... ასეთი საპასუხისმგებლო საქმის ქალისთვის მიჩეჩება ქვეყნის სირცხვილია – ტრადიციული გაგებით, სიტყვაზე პასუხს კაცი აგებს, და არა ქალი!...

– მაგ ოთხიდან საუკეთესო გურჩიანია! პირველი გაუგებარი ტიპია, მეორე – აფერისტი, მესამე კი ისაა, ვისგან დასაცავადაც გვჭირდება ომბუდსმენი...

– ცუდი აურა აქვს გურჩიანს... მაგის დაცული ადამიანი არ მინახავს... არც მაგის უფროსის, ჩუგოშვილის... მიშას კარის მსახურები იყვნენ ორივე...

– თამარ გურჩიანი – კვალიფიციური, სანდო, პრინციპული – ერთადერთი სერიოზული კანდიდატურა!...

„კიდევ კარგი მამაჩემმა კომპიუტერის გამოყენება არ იცის – ღიმილით მეუბნება თამარ გურჩიანი – თორემ წარმომიდგენია, როგორ ხასიათზე დადგებოდა, იმის ნახევარიც რომ წაეკითხა, რასაც ბოლო დღეებია ჩემზე სოციალურ ქსელებში წერენ“.

თამარი საყოველთაო ყურადღების ცენტრში მას შემდეგ მოექცა, რაც ორმოცზე მეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ სახალხო დამცველის კანდიდატად დაასახელა. ომბუდსმენის პოსტი გიორგი ტუღუშის სასჯელაღსრულების მინისტრად გადასვლამ გაათავისუფლა. სახალხო დამცველობის სურვილს აგრეთვე გამოთქვამენ გელა ნიკოლეიშვილი, ლია მუხაშავრია და დიმიტრი ლორთქიფანიძე...

„თამარ გურჩიანი სახალხო დამცველად“ – ამ სახელწოდებით სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ მხარდამჭერი გვერდი შეიქმნა. გვერდი ამ დროისთვის 1350-ზე მეტ ადამიანს აქვს დალაიქებული. ბოლო მონაცემებით მის კანდიდატურას მხარს 105 ორგანიზაცია უჭერს.

თამარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა, მაგისტრის ხარისხი უილიამ და მერის კოლეჯის სამართლის სკოლაში მიიღო (ვირჯინიის შტატი, აშშ). წლების განმავლობაში ტრენერის, კონსულტანტისა და ექსპერტის რანგში საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობდა. 2004-2010 წლებში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში მუშაობდა. 2011 წელს სტაჟირება გაიარა ამერიკაში, Sunlight Foundation-ში, რომელიც მთავრობის ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის პროექტებზე მუშაობს. ამჟამად სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარეა.

თამარ გურჩიანი აქციაზე გავიცანი, – ახლოს გაცნობას რასაც უწოდებენ, თორემ, შორიდან მანამდეც ვიცნობდი. ხაშურის პოლიციის შენობაში გარდაცვლილი სოლომონ ქიმერიძის საქმის გასაპროტესტებლად თბილისიდან ადგილზე მცირერიცხოვანი ჯგუფი ჩავიდა. რედაქციიდან აქციის გასაშუქებლად გამგზავნეს. თხუთმეტკაციანი საპროტესტო აქცია სწრაფად დაიშალა, ჩვენ ქიმერიძის ოჯახის სანახავად წავედით, თამარ გურჩიანიც თან გამოგვყვა.

მკითხველს ალბათ ახსოვს – სოლომონ ქიმერიძის ოჯახი გადაცმულმა სამართალდამცველებმა იზოლაციაში მოაქციეს და იმ საბაბით რომ „ოჯახი წუხდებოდა“, ჟურნალისტებს სახლის კარამდე არ უშვებდნენ. ასეთივე ჯგუფი ჩვენც გადაგვეღობა.

შემტევი, პრინციპული, უკომპრომისო... ასეთი შთაბეჭდილება დატოვა მაშინ თამარმა. ის ჯიუტად და ამაოდ ცდილობდა „ოჯახის ახლობლებისთვის“ აეხსნა, რომ უსამართლოდ იქცეოდნენ. ცალი ხელით ფლიპ-კამერა მეჭირა, ცალით კი მას ვაკავებდი, რადგან ადვილი შესაძლებელი იყო, სპორტული აღნაგობისა და სამართალდამცავების მანერების მქონე „სოფლელები“ ფიზიკურად გასწორებოდნენ...

* * *

სახალხო დამცველობის კანდიდატი თამარ გურჩიანი ჩემ წინ ზის და დაუსრულებელი რაოდენობის კითხვებს თანმიმდევრულად პასუხობს: როგორი იქნება მისი პრიორიტეტები სახალხო დამცველად არჩევის შემთხვევაში? – „ადამიანის უფლებებში პრიორიტეტებს არ ვცნობ – ყოველი სფერო ერთნაირად მნიშვნელოვანია“.

„თუმცა ეს საკამათო დებულებაა“, – ამბობს თვითონვე და მიხსნის, რომ ადამიანის უფლებათა თეორიაში რამდენიმე რიგის უფლებები არსებობს. „მაგალითად, სოციალ-ეკონომიკური უფლებები ისეთი რიგის უფლებებად მიიჩნევა, რომელზეც სახელმწიფომ იმდენად უნდა იზრუნოს, რამდენადაც ამის საშუალება გააჩნია“. თუმცა საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით ეს თეორიული მოცემულობა გურჩიანისთვის აზრს კარგავს. „სოციალურად დაუცველ პირთა ბაზაში მილიონ ექვსასი ათას ადამიანზე მეტია დარეგისტრირებული. იუნისეფის მონაცემებით, საქართველოში ყოველი მეოთხე ბავშვი სიღარიბეში ცხოვრობს, ასეთ ფონზე იმის თქმა, რომ – სოციალ-ეკონომიკური უფლებები პრიორიტეტული არ არის და დაე, სახელმწიფომ იზრუნოს, – ჩემთვის მიუღებელია“.

გურჩიანი ამბობს, რომ წლიური ანგარიშების შედგენა წინა სახალხო დამცველსაც მშვენივრად ეხერხებოდა, თუმცა „სახელმწიფოს რეაგირება იყო ნული“. ის პირობას დებს, რომ სათქმელს უფრო ხმამაღლა, უფრო პროაქტიურად იტყვის, არ დასჯერდება მხოლოდ საპარლამენტო ტრიბუნას „სადაც ომბუდსმენის მოხსენებებს თითქმის არავინ ისმენს“ და გამოიყენებს სხვადასხვა პლატფორმას, რათა ადამიანის უფლებების დარღვევის თითოეულ ფაქტზე მყისიერი რეაგირება მოახდინოს და ხმა რაც შეიძლება მეტ ადამიანს მიაწვდინოს.

გურჩიანი ამბობს, რომ წლიური ანგარიშების შედგენა წინა სახალხო დამცველსაც მშვენივრად ეხერხებოდა, თუმცა „სახელმწიფოს რეაგირება იყო ნული“. ის პირობას დებს, რომ სათქმელს უფრო ხმამაღლა, უფრო პროაქტიურად იტყვის, არ დასჯერდება მხოლოდ საპარლამენტო ტრიბუნას „სადაც ომბუდსმენის მოხსენებებს თითქმის არავინ ისმენს“ და გამოიყენებს სხვადასხვა პლატფორმას, რათა ადამიანის უფლებების დარღვევის თითოეულ ფაქტზე მყისიერი რეაგირება მოახდინოს და ხმა რაც შეიძლება მეტ ადამიანს მიაწვდინოს.

რას ნიშნავს მისთვის ის ფაქტი, რომ კანდიდატად სამოქალაქო საზოგადოების სოლიდურმა ნაწილმა დაასახელა? – ის ამით „აბსოლუტურად აღფრთოვანებულია“. აღფრთოვანებულია არა საკუთარი კანდიდატურის მხარდაჭერით, არამედ იმით, რომ „ადამიანებმა ერთად თუ ცალკ-ცალკე, გადაწყვიტეს ეთქვათ თავისი არჩეული პარლამენტისთვის: – კეთილი ინებე და ჩვენი აზრები გაითვალისწინე! ადამიანები ფიქრობენ, რომ მათ მოუსმენენ. ეს შესანიშნავია!“

რას ნიშნავს თამარ გურჩიანისთვის, – იყოს უფლებადამცველი? ამ რეგალიის მისასაკუთრებლად მისთვის სამართლის ცოდნა, წარმატებული კარიერა, და პროფესიული მიღწევები საკმარისი არაა. „ეს რწმენის საკითხია“ – ამბობს ინტერვიუში და იქვე განმარტავს: – ადამიანის უფლებებისადმი ერთგვარი მგრძნობელობა უნდა გაგაჩნდეს, უნდა გწამდეს, რომ რაოდენ კეთილშობილური მიზანიც არ უნდა გქონდეს და როგორ ღირებულებასაც არ უნდა იცავდე, ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები თავის თავს უნდა ამართლებდეს“.

„ეს არ არის მხოლოდ პროფესია, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროსაც და სამსახურის გარეთაც ნამდვილი უფლებადამცველი უფლებადამცველად რჩება“, – ამბობს თამარი.

თამარ გურჩიანი ადამიანის უფლებებზე ერთგვარი გზნებით, შეიძლება ითქვას, აზარტითაც კი ლაპარაკობს, მისი მეტყველების მანერა ძალდაუტანებელია, ცდილობს აზრები ადვილად აღსაქმელ ენაზე გადმოსცეს, „ხომ გასაგებად ვამბობ?“ – რამდენჯერმე მიმეორებს.

თამარის რეჟიმი მოულოდნელად გადაიტვირთა. ჩემთან ინტერვიუზე ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერიდან მოვიდა, ამიტომ მისი ჩაცმის სტილს ოფიციალურობის იერი დაჰკრავს. როგორც ჩანს, ამგვარ ტანსაცმელში თავს მაინცდამაინც კომფორტულად ვერ გრძნობს. ფოტოების გადაღებისას ოდნავ დაძაბულია, თუმცა საუბრის დროს ნელ-ნელა იხსნება. თამარი მიყვება როგორ იზრდებოდა მრავალშვილიან ოჯახში – მისი მშობლები ცხრა გოგონას ზრდიდნენ. მოგვიანებით გურჩიანის ოჯახი საცხოვრებლად აფხაზეთში გადავიდა, დედა მასწავლებელი იყო, მამას კი მცირე ბიზნესი ჰქონდა, თუმცა, ომის შედეგად ყველაფერი დაკარგეს – „მამაჩემს თმაში ჭაღარა მაშინ გაუჩნდა – ცხრა შვილი ჰყავდა გასაზრდელი“. თამარის მშობლებს შვილების ნათესავებთან გადანაწილება მოუხდათ, რათა შიმშილის საფრთხის წინაშე არ აღმოჩენილიყვნენ. თამარმა სვანეთში, დეიდასთან რამდენიმე წელი გაატარა და როდესაც მისი დები თბილისში პურის რიგებში იდგნენ, ის შედარებით უზრუნველყოფილი იყო. თუმცა ოჯახთან განშორებას მძიმედ განიცდიდა. მოგვიანებით შეიკრიბნენ და ისევ ერთ ოჯახად იქცნენ, გაჭირვებაც უკან მოიტოვეს. „მთავარი, რაც ამ წლებში ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, ის გახლდათ, რომ საშინელი გაჭირვების მიუხედავად, ჩემს მშობლებს ღირსება არ დაუკარგავთ“. ომბუდსმენობის კანდიდატი მშობლებზე განსაკუთრებული სითბოთი საუბრობს. „რაღაც ოსკარის დაჯილდოების ცერემონიალივით გამოდის, – ღიმილით ამბობს თამარი – თუმცა, არ შემიძლია არ ვთქვა, რომ სწორედ ჩემი მშობლების დამსახურებაა, თუკი დღეს რამეს წარმოვადგენ“.

გურჩიანი საზოგადოების ყურადღებისა და პრესის ქვეშ მოულოდნელად მოექცა, ეს მისთვის კომფორტული არ არის, თუმცა გაცნობიერებული აქვს რასაც აკეთებს. მას ერთდროულად პასუხისმგებლობას მატებს და ამხნევებს კიდეც ის, რომ სახალხო დამცველობის კანდიდატად სამოქალაქო საზოგადოების სოლიდურმა ნაწილმა წარადგინა: „ამის მიზეზი ალბათ ისაა, რომ მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, ვის მხარეზეც ვიყავი, ეს იყო ადამიანი და მისი უფლებები, არცერთ პოლიტიკურ პარტიასთან არანაირი კავშირი არასდროს მქონია, არცერთ მთავრობაში არ მიმუშავია, ყოველთვის სამოქალაქო საზოგადოებას ვეკუთვნოდი. ყოველთვის, რასაც ვაკეთებდი, გულწრფელი ვიყავი, – ეს არის ჩემი უპირატესობა“.

www.radiotavisupleba.ge

რადიო თავისუფლება

იპოვე თავისუფლება

09:00 - 10:00
18:00 - 19:00
FM 107.4

15:00 - 15:45
00:00 - 00:45
FM 105.9

ფოტორეპორტაჟი

მეშახტეების „კეთილდღეობა“

გიორგი გოგუა

გაფიცული მაღაროელები სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ითხოვდნენ.

მთავრობის წევრები მუშებს პრობლემების მოგვარებას შეპპირდნენ, თუმცა მათ ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე სამუშაოს გაგრძელებაზე უარი განაცხადეს.

ჭიათურის მანგანუმის გადამამუშავებელი ქარხნის უზარმაზარი შენობიდან უკვე რამდენიმე დღეა, მუშებისა და დანადგარების ხმაური აღარ ისმის. ჩამსხვრეულ მინებს მიღმა მხოლოდ ძველი, დაჟანგული დაზგების დანახვას შეძლებთ, ისიც მაშინ, თუ ქარხნის ირგვლივ დამდგარ ტალახის უზარმაზარ გუბეს გადალახავთ.

მუშები გაიფიცნენ.

მათი მთავარი მოთხოვნები 300-ლარიანი თვიური ანაზღაურების გაორმაგება, სამუშაო პირობების გამოსწორება და უსაფრთხოების ნორმების დაცვაა.

მეშახტეების უსაფრთხოება იმდენადაა დაცული, რამდენადაც შახტაში ჩაფხუტისა და სპეციალური ტანსაცმლის გარეშე არ უშვებენ.

ეს დიდი ხნის წინ გაცვეთილი სპეცაღჭურვილობა კი ძველ, ნესტიან დარბაზში ინახება, სადაც ჭუჭყისა და გადაუმუშავებელი მანგანუმის სუნი დგას. ენერგიის ეკონომიის მიზნით დაყე-

მაღაროელების სააბაზანოს იატაკი იმდენად სველია, რომ ფეხზე მყარად დგომა თითქმის შეუძლებელია.

ლიანდაგები მიწის ქვეშ, მაღაროებამდე ღრმად ჩადის. მორყეული შენობები და მოუწესრიგებელი რელსები მიტოვებული ეგონებათ.

ნებული მცირე სიმძლავრის ნათურები უზარმაზარ დარბაზს ძლივს ანათებს. მათ გამოსაცვლელად კი ელექტროენერგიის სრულიად გათიშვაა საჭირო, რადგან კუსტარულად, შიშველი მავთულით დამაგრებულ სადენებთან შეხებისას გადარჩენის ძალიან მცირე შანსია.

სამსართულიან შენობაში, სადაც მაღაროელები სამუშაოს შემდეგ იკრიბებიან, იცვლიან და ბანაობენ, რამდენიმე საპირფარეშო და ერთი დიდი საშხაპეა. ოდესღაც აქ წყალგაყვანილობაც მოწესრიგებული იყო და საკანალიზაციო სისტემაც, ახლა კი ონკანიდან ნიჟარაში გადასული წყალი ნიჟარის ქვეშიდანვე ქვის იატაკზე ილვრება. ისიც იმ შემთხვევაში, თუ ამ ონკანიდან წყალი საერთოდ მოდის.

საშხაპის იატაკი იმდენად სველია, რომ ფეხი სხლტება. ნესტიანი ოთახის კედლებზე კი ელექტროგაყვანილობის ნახევრად შიშველი კაბელებია – კაბელებში 220 ვოლტი გადის.

ქარხნის ადმინისტრაცია ამბობს, რომ მუშების პრობლემების შესახებ აქამდე არაფერი იცოდნენ, პოლიტიკოსები გაფიცულებს სიტუაციის გამოსწორებას ჰპირდებიან, მეშახტეების მოთხოვნა კი უცვლელი რჩება: „ჩვენ უკეთესი პირობები გვინდა – ოჯახები გვყავს სარჩენი“.

მეშახტეები ადმინისტრაციისა და მთავრობის წარმომადგენლებს გვიანობამდე ესაუბრებოდნენ.

გაფიცული მუშების ჭუჭყიანი ტანსაცმელი უკვე რამდენიმე დღეა, ნესტიან დარბაზში ხელუხლებლად კიდია.

დისპეტჩერი საბაგირო გზის მაღარომდე ამოსვლას მოთმინებით ელოდება.

საქართველოს შესაძლო ფინლანდიზაცია

საგარეო კურსთან დაკავშირებით საქართველოს ახალი ხელისუფლების რიტორიკა დასავლეთის გარკვეულ წრეებში, საქართველოში ფინლანდიზაციის პროცესის დასაწყისად იქნა აღქმული.

ვასო კუჭუხიძე
ჟურნალისტი



ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე კვლავ აქტიური განხილვის საგნად იქცა.

ჯერ იყო და არჩევნების შედეგებით გამოწვეულმა არაერთგვაროვანმა შეფასებებმა მსოფლიო პრესაში მთავარი ადგილი დაიკავა. გაოცების ტალღის გადავლის შემდეგ, ინტერესს უკვე საქართველოს საგარეო პოლიტიკის მომავალი იწვევს. ახალი ხელისუფლების კურსი თითქოსდა გაცხადებულია, მაგრამ ამ ფონზეც კი გამოცდილ ანალიტიკოსებსაც უჭირთ მყარი პროგნოზების გაკეთება იმასთან დაკავშირებით, თუ რა გზას დაადგება ქვეყანა მომავალში.

დასავლეთსაც და რუსეთსაც ლოდინის სტრატეგია აქვთ არჩეული და ჯერჯერობით ახალი ხელისუფლების რიტორიკას და ნაბიჯებს აკვირდებიან.

ახალი ხელისუფლების რიტორიკა აშკარად პროდასავლურია, თუმცა „ქართულ ოცნებაში“ არ მალავენ, რომ არსებული საგარეო პოლიტიკის დოქტრინა გადასახედია.

უკვე გახმოვანებული პოზიციის თანახმად, ქვეყანა ინარჩუნებს დასავლეთთან მჭიდრო ინტეგრაციის კურსს, პარალელურად კი რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას შეეცდება. ანტირუსულად განწყობილ ანალიტიკოსთა დიდი ნაწილი ამ გეგმას სკეპტიციზმით უყურებს. მათ მიაჩნიათ, რომ დასავლეთთან ინტეგრაციის შემთხვევაში, კრემლი საქართველოსთან ურთიერთობის ნორმალიზებას არ დათანხმდება და თბილისს კვლავ არჩევანის გაკეთება მოუწევს.

ამერიკელ ნეოკონსერვატორ ანალიტიკოსთა ერთი ჯგუფი დარწმუნებულია, რომ ასეთი დილემის შემთხვევაში საქართველო რუსულ ორბიტაზე დაბრუნებას აირჩევს. ამიტომაც ისინი წინასწარ უკვე ადანაშაულებენ ბარაკ ობამას იმაში, რომ საქართველოს სახით ერთი მოკავშირე დაკარგა. ერთ-ერთმა მათგანმა, სეთ მენდელმა საკუთარი პრეზიდენტი იმის გამო გააკრიტიკა, რომ აშშ-მა 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგები ლეგიტიმურად ცნო და ამით ერთგული მოკავშირე სააკაშვილი გაწირა.

ამერიკელ ანალიტიკოსთა მეორე ჯგუფის აზრით კი, აშშ-ის მოკავშირე საქართველოა და არა რომელიმე კონკრეტული ლიდერი. მათი აზრით, ვაშინგტონის მიერ 70-80-იან წლებში ლოიალური, თუნდაც ავტორიტარული რეჟიმების ბოლომდე მხარდაჭერის სტრატეგია ხშირად თავად აშშ-სთვის არასასურველი შედეგით სრულდებოდა, ამიტომაც დღეს თეთრი სახლი ფსონს არა რეჟიმებზე, არამედ ქვეყნებზე დებს.

სააკაშვილის აგრესიულმა ანტირუსულმა საგარეო პოლიტიკამ ამერიკელ ნეოკონსერვატორთა გარკვეულ ჯგუფში მას მხარდაჭერა მოუტანა, მაგრამ ქვეყნის სტაბილურობას შეუქმნა საფრთხე. სწორედ ამიტომ, არჩევნების წინ გაჩნდა მოლოდინი, რომ ვაშინგტონი დაბალანსებული პოლიტიკის გამტარებელ ძალას დაუჭერდა მხარს და ერთგულ, მაგრამ არასტაბილურ სააკაშვილს „გაწირავდა“.

ობამას გადატვირთვის პოლიტიკა ზემოთ ხსენებულ ვარაუდს კიდევ უფრო დამაჯერებელ სახეს აძლევდა. რუსეთისა და აშშ-ის ლიდერთა შეხვედრების დროს ერთ-ერთი ის საკითხი, რომელზეც მხარეები შეთანხმებას ვერ ახერხებდნენ, საქართველო იყო. ამას ემატებოდა ევროპის წამყვან მოთამაშეთა აქტიური თანამშრომლობა რუსეთთან. სწორედ აქედან ჩნდება მოსაზრება, რომ რუსეთთან ვითარების ნორმალიზება დასავლეთის დაკვეთაა და თბილისის სურვილი რუსეთთან ურთიერთობის აღდგენისა, მისი პროდასავლური პოლიტიკის ნაწილია. საქართველოს აგრესიული ანტირუსული პოლიტიკის მიმართ დასავლეთის დამოკიდებულება ჯერ კიდევ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების დროსაც კარგად გამოჩნდა.

რაც შეეხება ახალი ხელისუფლების პოზიციას, მან უკვე ორი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და ორი მიმართულებით გააგზავნა მესიჯი. როგორც ცნობილია, პრემიერ-მინისტრის პირველი ოფიციალური ვიზიტი ვაშინგტონში იგეგმება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოსთვის აშშ მთავარ მოკავშირედ რჩება (ეს მსოფლიოში აღიარებული დიპლომატიური ჟესტია და სააკაშვილის პირველი ვიზიტი მოსკოვში პარადოქსულად გამოიყურებოდა). მეორე მხრივ, ივანიშვილის განცხადება 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ, გზავნილი იყო რუსეთისთვის, რომ თბილისი მზად არის ახალი ტიპის ურთიერთობისთვის. სააკაშვილის პოზიციისგან განსხვავებით, რომელიც არა მარტო ბოიკოტს უცხადებდა

ფოტო: ლევან ხარაბაძე

მართალია, ივანიშვილი ნატოს რუსეთისთვის სტრატეგიულ საფრთხედ არ მიიჩნევს, მაგრამ თავად კრემლში ასე არ ფიქრობენ, „ანაკონდას პრინციპი“ მოსკოვისთვის 60 წელია ერთ-ერთ მთავარ კოშმარს წარმოადგენს. შესაბამისად, ნატოსთან ურთიერთობის გადახედვა რუსეთის მთავარი მოთხოვნა იქნება.

ოლიმპიადას, არამედ მის ჩაშლასაც კი ცდილობდა, ივანიშვილის ნაბიჯი საკამათო, თუმცა შედეგზე ორიენტირებულია.

მართალია, რუსეთის საგარეო უწყების მხრიდან თბილისის ეს გადაწყვეტილება დადებითად იქნა შეფასებული, მაგრამ მომავალი ურთიერთობების შესახებ ნაადრევი დასკვნების გამოტანას კრემლში თავს არიდებენ. საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიული პოლიტიკა იმდენად მასშტაბურ ხასიათს ატარებდა ბოლო წლებში, რომ მისი შეწყვეტა იოლი საქმე არ იქნება. ჯერ კიდევ 6 სექტემბერს მოსკოვმა განაცხადა, რომ ვლადიკავკაზში სამხრეთ ოსეთისთვის საკონსულოს გახსნის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრეც რუსეთი პროვოკაციულ ნაბიჯებზე უარს არ ამბობდა. შეძლებს თუ არა ქართული დიპლომატია კრემლის მოლაპარაკებების მაგიდასთან დასმას, ახალი ხელისუფლების მოხერხებაზეა დამოკიდებული. ერთი კი ცხადია, რუსეთთან საქართველოს მოლაპარაკებების მაგიდაზე მეტი შანსი აქვს, ვიდრე ბრძოლის ველზე.

საინტერესოა ასევე, რა მოთხოვნები ექნებათ მხარეებს ერთმანეთთან ურთიერთობის აღდგენის საწყის ეტაპზე და რა დათმობებზე შეძლებენ წასვლას. როგორც ამერიკელმა ანალიტიკოსმა პოლ რიმპლიმ განაცხადა, შეთავაზებები უნდა იყოს ადეკვატური და საქართველომ რუსეთის ჯარის ყოფნა საკუთარ ტერიტორიაზე არ უნდა დაუშვას მაგალითად იაფი გაზის გამო. გარდა ამისა, გაუმჯობესებული ურთიერთობის პირობებშიც რუსეთი საქართველოს ნატოსკენ სწრაფვის შეჩერებას ეცდება. მართალია, ივანიშვილი ნატოს რუსეთისთვის სტრატეგიულ საფრთხედ არ მიიჩნევს, მაგრამ თავად კრემლში ასე არ ფიქრობენ, „ანაკონდას პრინციპი“ მოსკოვისთვის 60 წელია ერთ-ერთ მთავარ კოშმარს წარმოადგენს. შესაბამისად, ნატოსთან ურთიერთობის გადახედვა რუსეთის მთავარი მოთხოვნა იქნება.

ურთიერთობის ნორმალიზების საწყის ეტაპზე აუცილებელია ყურადღება უფრო იმ საკითხებზე იქნას გადატანილი, რომელშიც საქართველოს და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითად, მშვიდობა და სტაბილურობა ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის. ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს სახალხო დიპლომატიაზე. რუსი ტურისტების მოზიდვა საქართველოს მთავარ სტრატეგიად უნდა იქცეს ამ სფეროში. სავაჭრო, კულტურული და აკადემიური ურთიერთობების აღდგენა რუსეთს სავიზო რეჟიმის გაუქმების აუცილებლობის წინაშე დააყენებს და ნიადაგს შექმნის მოლაპარაკებათა ახალი ეტაპის დაწყებისთვის. სავარაუდოდ, სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ბიძინა ივანიშვილს, როდესაც რუსეთსა და ევროპას შორის არა ბერლინის კედლად, არამედ ხიდად ყოფნაზე საუბრობდა. მისი ეს პოზიცია კი, დასავლეთის გარკვეულ წრეებში, საქართველოში ფინლანდიზაციის პროცესის დასაწყისად იქნა აღქმული.

ჩინური ბამბუტი

გიგი გულედანი
პროზაიკოსი

ჩემი ერთი პრიმიტიული, მაგრამ საოცრად მიმზიდველი თეორიის მიხედვით, გარემო ან მოვლენა „ნამდვილია“ (ბერას „ნამდვილების“ არ იყოს), როცა მასში „რაღაცნაირად“ გაერთიანებულია ურთიერთპოლარიზებული („საწინააღმდეგოს“ შეგნებულად არ ვხმარობ) ძალა ან მოვლენა. დუალიზმის, ტაოიზმისა და უფრო ღრმად რომ შევტოპოთ, ინისა და იანის აღწერით მკითხველისთვის თავის შეწყენა არა მგონია, სწორი გადაწყვეტილება იყოს, ამიტომ მარტივი, ცხოვრებისეული მაგალითებით ვიხელმძღვანელებ:

სიტყვაზე, თქვენ გიყვართ მინიმალი (ელექტრონული მუსიკის ერთ-ერთი მიმდინარეობა), მაგრამ ამავდროულად გეზიზღებათ ის (რაღაც მომენტში მინიმალი „მეინსტრიმში გადმოვიდა“ და ერთფეროვნების მომაბეზრებელ ნიშაში დაისადგურა ისე, რომ მას, რაღაც ეტაპზე, კავსაძელი თუ მოსაშვილელი ძველი ბიჭებიც კი უსმენდენ). შეიძლება ითქვას, რომ ამ ორი ურთიერთგამომრიცხავი შეგრძნებით, თქვენ, მინიმალს ბევრი სხვა ადამიანისგან განსხვავებით, სრულად შეიგრძნობთ, ანუ თქვენ „ნამდვილად“ იცით, რას წარმოადგენს ის.

ბოლო დროს, ძალიან გაძნელდა ღირსეულად წერა ქვეყანაში ელვისებურად „განვითარებულ მოვლენებზე“, რაც, პირველ რიგში, ჩემი გამოცდილებით, ინტერნეტ სივრცის „პროლიფერაციითაა“ გამოწვეული. წერის მთელი ხიბლი თითქოს იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველს რაღაც ახალი, საკუთარი ნააზრევი გაუზიარო, მაგრამ ყოველდღიურად ასობით მოსაზრების გაცნობის შემდეგ, ორიგინალის მიგნებას რომ შევეშვათ, ნებისმიერი შეფასება, წერის მომენტისთვის უკვე მოძველებული თუ არა, უფერულად, გადაღეჭილად და ტრივიალურად მოჩანს. თუ ასეა, რა საჭიროა ისეთი რამით ხალხისთვის თავის მობეზრება, რაზეც ყველას უკვე ისედაც ნაფიქრი აქვს და, რაზეც კონსენსუსი უკვე არსებობს?

ტელევიზიები – კანონიერ მფლობელებს. მანდატურებს – მხოლოდ დაცვის ფუნქციები, „ჯერ ვაცალოთ“ არ

იყოს. დამნაშავეები – გასამართლდნენ (მაგრამ რევანშის დრო არაა). ფანატიკოსი ფაშისტი მღვდლები – ტეხავს. საგანმანათლებლო დაწესებულებებს – ავტონომიები. სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა იაქტიუროს. მედიას – თავისუფლება. ბაზარს – მიშვება („თვითონ დაარეგულირებს“). კონკურენციას ხელი უნდა შევუწყოთ. პატრულმა ძველებურად უნდა იმუშაოს, რადგან ის ხალხის სამსახურშია. არის კრიმინალისა და ქურდული ელემენტის მომძლავრების საშიშროება. მწერლები წიგნების გამო არ უნდა გაილახონ. მოძალადეები – დაისაჯონ. სატარიფო პოლიტიკა გადაიხედოს, თუ გაჩნდა შანსი – კომუნალურები შემცირდეს. მინისტრებად, ნუ თუ მაინცდამაინც საკადრო კრიზია, აშკარა ქსენოფობები, ჰომოფობები და ნიანგები მაინც ნუ იქნებიან.

ესაა მოკლედ ის, რაც ცირკულირებს გარშემო პოსტ-საარჩევნო პერეტრუბაციებში. არის ხალხი, რომელსაც ყველაფერი უხარია, არის ხალხი, რომლებსაც – პირიქით, ყველაფერი აღიზიანებს და ნერვებს უშლის. ზოგი ფიქრობს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, ზოგი კი – პირიქით, აპათიაშია ჩავარდნილი. ბევრია ისეთიც, ვისაც არჩევნებამდე, დღეს უკვე მინიმალივით „მეინსტრიმში გასული“ რამიშვილი „შუაშისტებს“ დაარქმევდა, ვინც ცოტა ოპტიმისტია, მაგრამ ცდილობს ახალ ინიციატივებს კრიტიკული თვალით შეხედოს, ან ვინც მიშისტია, მაგრამ „ოპოზიციიდან საბრძოლველადაა“ განწყობილი.

რაც არ უნდა თქვან, სხვადასხვა პოლუსებზე მდგომი ტუსოვკების ხარჯზე, რაციონალურად თუ ირაციონალურად, პოლიტიკური ველი დაბალანსდა და არენაზე გამოსული ურთიერთსაპირისპირო გაგების მქონე ძალების გამოსვლით, ჩემი ერთი პრიმიტიული, მაგრამ საოცრად მიმზიდველი თეორიის მიხედვით, ჩვენ გარშემო, როგორც იქნა, „სინამდვილემ“ დაისადგურა.

მთავარია, რომ ფანტომი გაქრა და ვაკუუმი გაირღვა. დღეს, „სინამდვილის“ დადგომის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლო, ჩემი მოკრძალებული აზრით, არის ყველასთვის კარგად ცნობილი გამოთქმა „ჯერ სადა ხართ“, რომელსაც წარმატებით იყენებენ ონლაინ დებატებსა და ღადაობაში როგორც პრო, ისევე ანტი, ახალი და ძველი მთავრობის მხარდამჭერები. კეთილი იყოს ჩვენი კოლექტიური ფეხი ამ ეკლექტურ უნივერსალურ რეალობაში.

FM

ᲣᲪᲜᲝᲑᲘ

98.0

www.ucnobifm.ge

ეცადე დაინახო მეტი

www.tv9.ge